



**სოცხალი გვიანი**

მეცხოვედებანი დრამა

(თორმეტი სურათად)

**მოქმედი პირები**

ფიოდორ ვასილის ძე პროტასოვი (ფედია).  
 ელიზავეტა ანდრეის ასული პროტასოვა (ლიზა),  
 მისი მეუღლე.  
 მიშა, ბიჭი, მათი ვაჟი.  
 ანა პავლეს ასული, ლიზას დედა.  
 საშა, ლიზას და.  
 ვიქტორ მიხაილის ძე კარენინი.  
 ანა დმიტრის ასული კარენინა, მისი დედა.  
 მარია ვასილის ასული კრიუკოვა, ლიზას მეგობარი  
 ქალი.  
 სერგეი დმიტრის ძე აბრეშკოვი, თავადი.  
 მაშა, ბოშა ქალი.  
 ივან მაკარის ძე, მოხუცი ბოშა, მაშას მამა.  
 ნასტასია ივანის ასული, მოხუცი ბოშა ქალი, მაშას დედა.  
 მიხაილ ანდრეის ძე.  
 აფრემოვი } ფედის მეგობრები  
 სტახოვიჩი }

გუტკევიჩი } ფედის მეგობრები  
 კოროტკოვი }  
 ივან პეტრეს ძე ალექსანდროვი.  
 პეტრუშკოვი, მხატვარი.  
 არტემიევი.  
 ვოზნესენსკი, კარენინის მდივანი.  
 სასამართლოს გამომძიებელი.  
 საქმის მწარმოებელი სასამართლოს გამომძიებლისა.  
 მელნიკოვი.  
 პეტრუშინი, ვეჟილი.  
 ახალგაზრდა ვეჟილი.  
 ექიმი.  
 ოფიცერი ბოშებთან.  
 მუსიკოსი.  
 კატია } ბოშა ქალები  
 გაშა }  
 ბოშა ქალი.  
 I ბოშა.  
 II ბოშა.  
 მანდილოსანი სასამართლოში.  
 ოფიცერი სასამართლოში.  
 მსაჯული.  
 ძიძა პროტასოვებისა.  
 დუნიაშა, პროტასოვების მოახლე.  
 ლაქია პროტასოვებისა.  
 ლაქია კარენინებისა.  
 ქალი სამიკიტნოში.  
 ხელზე მოსამსახურე.  
 პოლიციელი.  
 შიკრიკი.  
 მეპატრონე სამიკიტნოსი.  
 ბატონი სასამართლოში.  
 მოსამართლე, მაცურებლები, მოწმეები.  
 ბოშები და ბოშა ქალები (გუნდი)

## პირველი მოქმედება

### პირველი სურათი

#### გამოსვლა პირველი

ანა პავლეს ასული, მსუქანი, ჭალარა ქალი; კორსეტი აცვია, მარტო უზის ჩაის მაგიდას.

#### გამოსვლა მეორე

ანა პავლეს ასული და ძიძა, ხელში ჩაიდანნი უჭირავს.

ძიძა. წყალი შეიძლება?

ანა პავლეს ასული. შეიძლება, მიშეჩკა როგორ არის?

ძიძა. წრიალებს. უარესი ისაა, თვითონ ქალბატონი აძლევს ძუძუს. იმას თავისი სადარდელი აქვს, აქეთ კი ბალდი იტანჯება. აბა, რა რძე უნდა ჰქონდეს, როცა ღამეებს ათენებს, სულ ტირის.

ანა პავლეს ასული. ახლა, მგონი, დამშვიდდა.

ძიძა. კარგი დამშვიდებაა, ღმერთმანი, შეხედვა შეგეზარება. რაღაცას წერდა და ტიროდა.

#### გამოსვლა მესამე

იგინივე და საშა.

საშა (შემოდის, ძიძას). ლიზა დაგეძებთ ბავშვის ოთახში.

ძიძა. მივლივარ. მივლივარ. (გაღის).

#### გამოსვლა მეოთხე

ანა პავლეს ასული და საშა.

ანა პავლეს ასული. ძიძამ მითხრა, სულ ტირისო. რა არის, როგორ არ შეუძლია დამშვიდება.

საშა. არა, დედა, სწორედ საკვირველი ხართ. ქმარი, თავისი შვილის მამა მიატოვა, თქვენ კი გინდათ, დამშვიდებული იყოს.

ანა პავლეს ასული. დამშვიდება არა, მაგრამ რაც მოხდა, მოხდა. თუკი მე, დედა, არათუ დავეთანხმე, არამედ კიდევ მიხარია, მაშასადამე, ღირსიც ყოფილა. კი არ უნდა წუხდე, უნდა გიხაროდეს, ასეთი ცუდი კაცისგან განთავისუფლება, ასეთი საუნჯის მოცილება რომ შეგიძლია.

საშა. ამას რად ამბობთ, დედა? თვითონაც ხომ იცით, რომ ეს არ არის მართალი. ცუდი კაცი კი არა, პირიქით, მისი სისუსტეების მიუხედავად, საოცარი, საოცარი კაცია.

ანა პავლეს ასული. დიან, სწორედ რომ საოცარი კაცია. მოიგდებს თუ არა ფულს ხელში, სულ ერთია, თავისას თუ სხვისას...

საშა. დედა, სხვისი მას არასოდეს აუღია.

ანა პავლეს ასული. სულ ერთია, ცოლისაა.

საშა. აკი ცოლს მისცა მთელი თავისი ქონება.

ანა პავლეს ასული. რა შვილი იყო არ მისცემდა, როცა თვითონვე იცის, ყველაფერს გაანიავებდა.

საშა. გაანიავებდა თუ არ გაანიავებდა, მე მხოლოდ ის ვიცი, არ შეიძლება ქმრის, მით უმეტეს ფედიასთანა ქმრის მიტოვება.

ანა პავლეს ასული. მაშ, შენი აზრით, უნდა დაველოდოთ, სანამ ყველაფერს გაანიავებს და იმ თავის ტურფებს შინ მოიყვანს?

საშა. არა ჰყავს ტურფები, სულ ტყუილია.

ანა პავლეს ასული. აი, სწორედ აქა მთელი უბედურება, რომ ყველა მოგაჯადოვათ. ოღონდ მე ვერა, ვერა, ვერ მივართვი; ვხედავ, ვინცაა და თვითონაც იცის ეს. ლიზას ადგილას ახლა კი არა, ერთი წლის წინათ მივატოვებდი.

საშა. რა ადვილად ამბობთ.

ანა პავლეს ასული. არა, სულაც არ ვამბობ ადვილად. მე დედა ვარ და არ მეადვილება ქმარგაცილებული ქალიშვილის ყურება. მაგრამ ახალგაზრდული სიცოცხლის დაღუპვას ყველაფერი სჯობს. არა, მადლობა ღმერთს, ლიზამ უკვე რომ გადაწყვიტა და ყველაფერი რომ დამთავრდა.

საშა. იქნებ, არაფერიც არ დამთავრებულა.

ანა პავლეს ასული. მთავარია, განქორწინება მისცეს.

საშა. მერედა, ამით კარგი რა იქნება?

ანა პავლეს ასული. ის იქნება, რომ ახალგაზრდა ქალია და კიდევ შეუძლია გაბედნიერება.

საშა. აჰ, დედა, საშინელებაა, რასაც თქვენ ამბობთ; ლიზა ვერავის შეიყვარებს, არ შეუძლია.

ანა პავლეს ასული. რატომაც არ შეუძლია? გამოჩნდება თქვენს ფედიასზე ათასჯერ უკეთესი, დიდადაც ბედნიერი იქნება, ლიზას თუ ითხოვს.

საშა. ცუდია, დედა, ასეთი ლაპარაკი. ხომ ვიცი, ვიქტორ კარენინზე ფიქრობთ.

ანა პავლეს ასული. რატომაც არ უნდა ვიფიქრო? ათი წელიწადია, ლიზა უყვარს, ლიზასაც უყვარს.

საშა. უყვარს, მაგრამ ისე არა, როგორც ქმარი. ეს ბავშვობის მე-  
გობრობაა, მეტი არაფერი.  
ანა პავლეს ასული. ვიცით, ვიცით, ეს თქვენი მეგობრობა,  
ოღონდ დაბრკოლებები არ შეგვხვდეს და...

### გამოსვლა მხუთი

იგინივე. შემოდის მოახლე.

ანა პავლეს ასული. რაო?

მოახლე. ქალბატონმა ვიქტორ მიხაილოვიჩს ბარათი გაუგზავნა,  
მეუზოვეს გაატანა.

ანა პავლეს ასული. რომელმა ქალბატონმა?

მოახლე. ლიზავეტა ანდრეევნამ, ქალბატონმა.

ანა პავლეს ასული. ჰოდა, რაო?

მოახლე. ვიქტორ მიხაილოვიჩმა შემოუთვალა, ახლავ თავად მო-  
ვალო.

ანა პავლეს ასული (გაოცებით). სწორედ ახლა მას ვახსენებ-  
დით. ოღონდ ვერ გამოვიდა, რისთვის? (საშას). შენ არ იცი?

საშა. იქნებ ვიცი, იქნებ არ ვიცი.

ანა პავლეს ასული. სულ საიდუმლო და საიდუმლო.

საშა. ლიზა მოვა და თვითონვე გეტყვი.

ანა პავლეს ასული (თავს აქნევს, მოახლეს). სამოვარს გაცხე-  
ლება უნდა. წაიღე, დუნიაშა.

მოახლე სამოვარს იღებს და გადის.

### გამოსვლა მუხუთი

ანა პავლეს ასული და საშა.

ანა პავლეს ასული (საშას, რომელიც წამოდგა და წასვლას  
აპირებს). ისე მოხდა, როგორც მე ვამბობდი. მაშინვე კაცი გა-  
უგზავნა.

საშა. შეიძლება სულაც სხვა რამისთვის გაუგზავნა.

ანა პავლეს ასული. აბა, მაშ, რიდასთვის?

საშა. ახლა, ამ წუთში ლიზასთვის სულ ერთია, გინდა კარენინი  
ფილა და გინდა ყვავი-ჩხიკვის მამიდა.

ანა პავლეს ასული. აი, ნახავ. მე ხომ კარგად ვიცნობ ლი-  
მიტომ მოიხმე, გული უნდა მოიხოს.

საშა. აჰ. დედა, რა ნაკლებად იცნობთ ლიზას, ეს რომ გაივლეთ  
გულში.

ანა პავლეს ასული. აი, ნახავ. ძალიან, ძალიან მიხარია.  
საშა. ვნახავთ. (წაიღიღინებს და გადის).

### გამოსვლა მუხუთი

ანა პავლეს ასული მარტოა.

ანა პავლეს ასული (თავს აქნევს და ბუტბუტებს). ძალიანაც  
კარგი. ეგრე იყოს... ძალიანაც კარგი, ეგრე იყოს... დიახ...

### გამოსვლა მარჯი

ანა პავლეს ასული და მოახლე.

მოახლე (შემოდის). ვიქტორ მიხაილოვიჩი მობრძანდა.

ანა პავლეს ასული. კეთილი. სთხოვე შემოვიდეს, ქალბატონ-  
საც მოახსენე.

მოახლე შიდა კარში გადის.

### გამოსვლა მუხუთი

ანა პავლეს ასული და ვიქტორ კარენინი.

კარენინი (შემოდის, ანა პავლეს ასულს ესალმება). ლიზავეტა ან-  
დრეევნამ ბარათი გამომიგზავნა, მოდიო. ისედაც მოსვლას ვაპი-  
რებდი ამ საღამოს, ასე რომ, ძალზე მოხარული ვარ... ლიზავეტა  
ანდრეევნა ხომ კარგად არის?

ანა პავლეს ასული. ის კარგად არის, ცოტათი ბავშვია შეუძ-  
ლოდ. ახლავე მოვა. (ნაღვლიანად). დიახ, დიახ, მძიმე დროა...  
თქვენ ხომ ყველაფერი იცით...

კარენინი. ვიცი. მე ხომ აქ ვიყავი სამი დღის წინათ, როცა მისი  
წერილი მოვიდა. მაგრამ ნუთუ ასე გადაწყდა, არაფერი ეშვე-  
ლება?

ანა პავლეს ასული. რაღა თქმა უნდა. რაც იყო, იმის ხელ-  
ახლა გადატანა საშინელება იქნებოდა.

კარენინი. აი, სად არის საჭირო, ასკერ გაზომე და ერთხელ გა-  
ჭერიო. ახალი იარის გაჭრა ძალზე ძნელია.

ანა პავლეს ასული. რასაკვირველია, ძნელია, მაგრამ უკვე  
კარგა ხანია, ისედაც ფესვგადაჭრილია მაგათი ქორწინება. ასე  
რომ, გაწყვეტა უფრო ნაკლებ საძნელო იყო, ვიდრე ჩანს. თვი-

მ. ლ. ტოლსტოი

თონვე იცის — მას შემდეგ, რაც მოხდა, მისთვისვე ძნელია დაბრუნება.

კარენინი. კი მაგრამ, რატომ?

ანა პავლეს ასულ. აბა როგორ გინდათ ყველა მისი სისაძაგლის შემდეგ, მას შემდეგ, რაც იფიცებოდა, ასეთი რამ აწარ განმეორდება, და თუ განმეორდა, თვითონვე ჩამოვართმევ საკუთარ თავს ქმრის ყველა უფლებას და ღიზს სრულ თავისუფლებას მივანიჭებო?

კარენინი. დიახ, მაგრამ ქორწინებით შეკრული ქალისა რა თავისუფლება შეიძლება?

ანა პავლეს ასულ. განქორწინება. განქორწინება დაგვპირდა და ჩვენც ამაზე ვდგავართ.

კარენინი. დიახ, მაგრამ ღიზავება ანდრეევას აკი ასე უყვარდა...

ანა პავლეს ასულ. აჰ, იმ სიყვარულს ისეთი გამოცდა მოუხდა, არა მგონია, მისგან რაიმე დარჩენილიყო. ეს ლოთობაო, ტყუილებიო, ღალატიო. განა ასეთი ქმრის სიყვარული შეიძლება?

კარენინი. სიყვარულისთვის ყველაფერი შეიძლება.

ანა პავლეს ასულ. სიყვარულიო, ამბობთ, მაგრამ აბა როგორ უნდა გიყვარდეს ასეთი კაცი, ჩვარი, რომელსაც ვერაფერში დაენდობი? აი, რა მოხდა... (კარისკენ იხედება, ცდილობს სწრაფად მოითავოს სათქმელი). სულ აეწეწა საქმეები, ყველაფერი დააგირავა, გადახდის თავი აღარა აქვს. მერე ბიძამისმა გამოუგზავნა ორი ათასი, პროცენტები რომ შეეტანა. წაიღო ეს ფული და... გაქრა. ცოლი აუადმყოფ ბავშვს თავზე ედგა, ელოდებოდა, ბოლოს კი წერილი მიიღო — თეთრეული და ნივთები გამომიგზავნე...

კარენინი. დიახ, დიახ, ვიცი.

### გამოსვლა მათი

იგინივე. შემოდინ საშა და ლიზა.

ანა პავლეს ასულ. აი, ვიქტორ მიხაილოვიჩი მოვიდა შენს დაძახილზე.

კარენინი. ჰო, ცოტა დამაყოვნეს. (დებს ესალმება).

ლიზა. გმადლობთ. დიდი სათხოვარი მაქვს თქვენთან. თანაც ვერავის ვთხოვ თქვენს გარდა.

კარენინი. ყველაფერს ვიზამ, რაც კი შემიძლია.

ლიზა. თქვენ ხომ ყველაფერი იცით.

კარენინი. ჰო, ვიცი.

ანა პავლეს ასულ. მე დაგტოვებთ. (საშას). წავიდეთ, მარტო დატოვე. (საშასთან ერთად გადის).

### გამოსვლა მათართაგან

ლიზა და კარენინი.

ლიზა. ჰო, წერილი მომწერა, ყველაფერს დამთავრებულად ვთვლიო. მე (ტრემლებს იკავებს)... ისე შეურაცხყოფილად ვიგრძენი თავი, ისე, რომ... ერთი სიტყვით, დავეთანხმე განქორწინებაზე. ვუპასუხე, ვიღებ შენს უარს-მეთქი.

კარენინი. მაგრამ მერე?

ლიზა. მერე? მერე ვიგრძენი, რომ ცუდს ვშვრებოდი, მივხვდი, რომ არ შემეძლო. მასთან განშორებას ყველაფერი მიარჩევნია. ერთი სიტყვით, გადაეცით ეს ბარათი. ვიქტორ, გეთაყვა... გადაეცით ეს ბარათი და უთხარით... და აქ მოიყვანეთ.

კარენინი. კარგი. (გაოცებით). ჰო, მაგრამ როგორღა?

ლიზა. უთხარით, რომ ვთხოვ ყველაფერი დაივიწყოს და დაბრუნდეს. შემეძლო ისე, უბრალოდ გამეგზავნა წერილი, მაგრამ ვიცი მისი ხასიათი: ჯერ კარგს დააპირებს, როგორც სჩვეოდა ხოლმე, მაგრამ მერე ვინმეს გავლენას აჰყვება და იმას იზამს, რაც არა სწავლია...

კარენინი. ვეცდები, რაც კი შემიძლება.

ლიზა. გიკვირთ, მაინც და მაინც თქვენ რომ გთხოვთ?

კარენინი. არა. თუმცა, მართალი რომ ვთქვა — ჰო, მიკვირს...

ლიზა. მერე არ მიბრახდებით?..

კარენინი. განა შემიძლია თქვენზე გაბრაზება?

ლიზა. თქვენ იმიტომ გთხოვთ, ვიცი, გიყვართ იგი.

კარენინი. ისიცა და თქვენც. იცით ეს. თანაც, ჩემთვის კი არა, თქვენთვის მიყვარხართ. მაღლობელიც ვარ, ჩემი რომ გჯერათ: ვეცდები, რაც კი შემიძლება.

ლიზა. ვიცოდი. ყველაფერს გეტყვით: აგერ ახლა აფრემოვს ვეწვიე, მისი ადგილ-სამყოფელის გაგება მინდოდა. მითხრეს, ბოშებთან წავიდნენო. აი, ეს მაშინებს. სწორედ ეს გატაცება მაშინებს, ვიცი, ვინმემ დროზე თუ არ შეაჩერა, სულ გადაჰყვება ხელს. აი, სწორედ ესაა საჭირო. რას იზამთ, წახვალთ?

კარენინი. რასაკვირველია, ახლავე.

ლიზა. წადით, ნახეთ და უთხარით, ყველაფერი დავიწყებულია-თქო. უთხარით, რომ ველოდები.

კარენინი (დგება). მაგრამ სად ვეძებო?

ლიზა. ბოშებთან არის. თვითონ ვიყავი იქ. აივანთან მივედი. ბარათის შეგზავნა მინდოდა, მერე გადავიფიქრე და გადავწყვიტე თქვენთვის მეთხოვა... აგერ, მისამართი. უთხარით, რომ დაბრუნდეს, არაფერი ყოფილა, ყველაფერი დავიწყებას მივცათო. გააკეთეთ ეს მისი სიყვარულისა და ჩვენი მეგობრობის გულისთვის.

კარენინი. ყველაფერს გავაკეთებ, რაც შემეძლება. (ერთხანს იცდის, მერე თავს უკრავს და გადის).

### გამოსვლა მათოკამა

ლიზა მარტოა.

ლიზა. არ შემიძლია, არ შემიძლია. ყველაფერი სჯობს, ოღონდ... არ შემიძლია.

### გამოსვლა მაცაჰაბა

ლიზა, შემოდის საშა.

საშა. რა ჰქენი? გაგზავნე?

ლიზა თანხმობის ნიშნად თავს უკრავს.

და დაგეთანხმა განა?

ლიზა. რასაკვირველია.

საშა. ვერ გამიგია, ეს რატომ...

ლიზა. ვინ ეს?

საშა. აკი იცი, რომ შენ უყვარხარ?

ლიზა. ეს ყველაფერი წინათ იყო და მორჩა, გაიარა. აბა, ვინ გინდა, ვისთვის უნდა მეთხოვა? რას ფიქრობ, დაბრუნდება?

საშა. ეჭვი არ მეპარება, რადგან...

### გამოსვლა მათოთხამა

იგინივე და ანა პავლეს ასული.

ანა პავლეს ასული შემოდის, საშა ჩუმდება.

ანა პავლეს ასული. ვიქტორ მიხაილოვიჩი სადღაა?

ლიზა. წავიდა.

ანა პავლეს ასული. როგორ თუ წავიდა?

ლიზა. სათხოვარი ვთხოვე, შემისრულე-მეთქი.

ანა პავლეს ასული. რა სათხოვარი? ისევ საიდუმლოა? ლიზა. საიდუმლო არა, უბრალოდ, ვთხოვე, ფედისათვის ბარათი გადაეცა.

ანა პავლეს ასული. ფედისათვის? ფიოდორ ვასილიევიჩისათვის?

ლიზა. ჰო, ფედისათვის.

ანა პავლეს ასული. მე მეგონა, თქვენს შორის ყოველგვარი ურთიერთობა დამთავრებული იყო.

ლიზა. არ შემიძლია მისგან განშორება.

ანა პავლეს ასული. რაო, ყველაფერს თავიდან იწყებთ?

ლიზა. მინდოდა, ვცდილობდი, მაგრამ არ შემიძლია. ყველაფერი იყოს, რაცა გნებავთ, მაგრამ განშორება არა.

ანა პავლეს ასული. მაშასადამე, გინდა დაიბრუნო?

ლიზა. ჰო.

ანა პავლეს ასული. კვლავ შინ შემოუშვი ის საზიზღარი, არა?

ლიზა. დედა, გთხოვთ ასე ნუ ახსენებ ჩემს ქმარს.

ანა პავლეს ასული. იყო შენი ქმარი.

ლიზა. არა, ახლაც ჩემი ქმარია.

ანა პავლეს ასული. მფლანგველია, ლოთია, გარყვნილია და მაინც არ შეგიძლია განშორდე?

ლიზა. რისთვის მაწამებთ? ისედაც გატანჯული ვარ, თქვენ კი თითქოს განგებ გინდათ...

ანა პავლეს ასული. მე გაწამებ, ჰოდა, წავალ. არ შემიძლია ამის დანახვა.

ლიზა დუმს.

ვხედავ ეს გინდათ, მე გიშლით ხელს. არ შემიძლია ცხოვრება. ვერაფერი გამიგია თქვენი. ახალია ეს ყველაფერი. ხან გასცილდი, გადაწყვიტე, მერე უცებ წერილით იბარებ კაცს, რომელსაც უყვარხარ.

ლიზა. არ არის ეს ასე.

ანა პავლეს ასული. კარენინმა ხელი გთხოვა... შენ კი ქმრის მოსაყვანად გზავნი. რისთვის? ეჭვი რომ გაუღვიძო?

ლიზა. დედა! საშინელებაა, რასაც თქვენ ამბობთ. დამანებეთ თავი.

ანა პავლეს ასული. ჰოდა, დედა სახლიდან გააგდე, გარყვნილი ქმარი კი შინ შემოუშვი. არა, აღარ დაგელოდებით. კარგად იყავით, მშვიდობით, ჰქენით, რაც გინდათ. (მიდის, კარს გაიჯახუნებს).

გამოსვლა მეთხუთმეტი

ლიზა და საშა.

ლიზა (მოწყვეტით ჯდება სკამზე). ესლა მაკლდა!  
საშა. არაფერია. ყველაფერი კარგად იქნება. დედას ჩვენ დავამშვიდებთ.

გამოსვლა მეთექვსმეტი

იგინივე და ანა პავლოვნა.

ანა პავლოვნა (მღუპარედ ჩაივლის). დუნიაშა, ჩემი ჩემოდანი საშა. დედა! მომისმინეთ! (უკან მიჰყვება, დას თვალს უკრავს).

ფარდა

მეორე სურათი

გამოსვლა პირველი

ბოშების ოთახი. გუნდი „კანაველას“ მღერის. ფედია პირველად წევს დივანზე, სერთუკი არ აცვია. აფრემოვი სიმღერის დამწყების პირდაპირ შემომჯდარა სკამზე. მაგიდას, რომელზედაც შამპანურის ბოთლი და ჭიქები დგას, უზის ოფიცერი. იქვე ზის მუსიკოსი და სიმღერას იწერს.

აფრემოვი. ფედია! გძინავს?

ფედია. (დგება). ნუ ლაპარაკობ. ეს ტრამალია, ეს მეთათე საუკუნეა, ეს თავისუფლება კი არა, შენს ნებაზე ცხოვრებაა... ახლა „მწუხრისპირული“.

ბოშა. არ შეიძლება, ფიოდორ ვასილიევიჩი. ახლა მარტო მაშამ იმღეროს.

ფედია. კარგი. მერე კი „მწუხრისპირული“. (კვლავ წვება).

ოფიცერი. „ბედითი წამი“. თანახმა ხართ?

აფრემოვი. იყოს.

ოფიცერი (მუსიკოსს). რა ჰქენით, ჩაიწერეთ?

მუსიკოსი. შეუძლებელია. ყოველთვის სხვადასხვა გამოდის. თან რომელიღაც მუხლი სხვანაირია. აი აქ. (უხმობს. მერე ბოშა

ქალს მიმართავს, რომელიც მას თვალს ადევნებს.) ეს როგორაა? (მღერის).

ბოშა ქალი. სწორედ ეგრეთ. ასე საუცხოოა.

ფედია (დგება). ვერ ჩაიწერს. ხოლო თუ ჩაიწერს და ოპერაში ჩაჩხირავს — ყველაფერს წაახდენს. აბა, მაშა, „წამი“ მაინც დაიწყე, მიდი! აილე გიტარა. (დგება, მაშას წინ ჩამოჯდება და თვალეში შესცქერის მას).

მაშა მღერის.

ესეც კარგია. ყოჩაღ, მაშა. აბა, ახლა „მწუხრისპირული“.

აფრემოვი. არა, დაიცა. ჯერ ჩემი, სამგლოვიარო.

ოფიცერი. სამგლოვიარო რაღად გინდათ?

აფრემოვი. იმიტომ, რომ როცა მოვკვდები... გაიგე, როცა მოვკვდები, კუბოში ვიწვები, ბოშები მოვლენ... გაიგე? ასე ვუბარებ ანდერძად ცოლს. წამოიწყებენ — „შელ მე ვერსტა“ — და კუბოდან ამოვხტები, გაიგე? (მუსიკოსს). აი, რა ჩაიწერე. აბა, დასცხეთ.

ბოშები მღერიან.

ხომ მაგარია. აბა — „ჩემო დარდიმანდებო“.

მღერიან. აფრემოვი დგება, ტლინკაობს. ბოშები ილიმებიან, ტაშს უკრავენ, თან სიმღერას განაგრძობენ. აფრემოვი ჯდება. სიმღერა მთავრდება.

ბოშა. ვიშ, მიხაილ ანდრეევიჩი, ბოშა ხართ ნამდვილი.

ფედია. ახლა კი — „მწუხრისპირული“.

გამოსვლა მეორე

იგინივე. შემოდის ბოშა.

ბოშა (ფედიას). თქვენ ბატონი გკითხულობთ.

ფედია. ვინ ბატონია?

ბოშა. არ ვიცი. კარგად აცვია, სიასამურის ქურჭი.

ფედია. ბარბაი? რა გაეწყობა, დაუძახე.

გამოსვლა მესამე

იგინივე ბოშას გარეშე.

აფრემოვი. აქ ვილა გეწვია?

ფედია. ღმერთმა უწყის. ჩემთან ვის რა ესაქმება? (დგება, ბარბა-ცებს).

მაშა მიდის, თან ბოშურად რაღაცას ეუბნება თავისიანებს.

იგინივე, მაშას გარეშე. შემოდის კარენინი. აქეთ-იქით იხედება.

ფედიკა. აჰ, ვიქტორი. ამას კი აღარ ველოდი. გაიხადეთ. აქ რა ქარმა გადმოგავდოთ? აბა, დაჯექი. ისმინე, ვიქტორ, „მწუხრისპირული“.

ბოშები მღერიან.

აი, ეს არის. აი, ეს არის. საოცარია, მაინც სად წარმოიქმნება ყოველივე, რაც აქ არის გამოთქმული? აჰ, რა კარგია. და რატომაა, ადამიანს ამ ალტაცებამდე მისვლა რომ შეუძლია, მაგრამ რომ ველარ გაახანგრძლივებ ამას?

მუსიკოსი (იწერს). დიახ, ძალიან ორიგინალურია.

ფედიკა. ორიგინალური კი არა, ეს არის ნამდვილი...

აფრემოვი. აბა, ჩავალეებო,<sup>1</sup> თქვენ დაისვენეთ. (გიტარას იღებს და კატიას მიუჯდება).

მუსიკოსი. ნამდვილი რომ ვთქვათ, სიმღერა მარტივია, მაგრამ რიტმი...

კარენინი. Le voudrais vous parler sans témoins.<sup>2</sup>

ფედიკა. რაზე?

კარენინი. Le viens de cher vous. Votre femme m'a chargé de cette lettre, et puis...<sup>3</sup>

ფედიკა (ართმევს წერილს, კითხულობს, იღუშება, მერე ალერსიანად იღიმება). მომისმინე, კარენინო, შენ ხომ იცი, რაც წერია ამ წერილში?

კარენინი. ვიცი. და მინდა გითხრა...

ფედიკა. დაცა, დაცა. შენ, გეთაყვა, ნუ იფიქრებ, რომ მთვრალი ვარ და ჩემი სიტყვები შეურაცხადია, ანუ მე ვარ შეურაცხადი. მთვრალი ვარ, მაგრამ ამ საქმეში ყველაფერს ცხადად ვხედავ. აბა, რა სათქმელი გაქვს დავალებული?

კარენინი. დავალებული მაქვს, მოგძებნო და გითხრა, რომ იგი... გელოდება. გთხოვს ყველაფერი დაივიწყო და დაბრუნდე.

ფედიკა (მღუმარედ უსმენს, თან თვალებში შესსქერის). მაინც ვერ გამიგია, შენ რატომ?..

კარენინი. ლიზავეტა ანდრეევნამ კაცი გამომიგზავნა და მთხოვა...

ფედიკა. ასე...

კარენინი. მაგრამ მე იმდენად შენი ცოლის არა, რამდენადაც თვითონ ჩემი სახელით გთხოვ: შინ წავიდეთ.

ფედიკა. შენ ჩემზე კარგი ხარ. რა სისულელეა! ჩემზე უკეთესი რომ იყო, რა ძნელი ეს არის. მე არამზადა ვარ, შენ კი კარგი, კარგი კაცი. და სწორედ ამიტომ არ შევიცვლი გადაწყვეტილებას. თანაც, არც მარტო ამიტომ. უბრალოდ, არც შემოდია და არცა მსურს. აბა, როგორღა წამოვიდე?

კარენინი. ჯერ ჩემთან წავიდეთ. მე ვიტყვი, რომ დაბრუნდი, ხვალ კი...

ფედიკა. ხვალ კი რა? მე მუდამ მე ვიქნები, ის კიდეც — ის. არა. (მიდის მაგიდასთან და ღვინოს სვამს). ამოსაღები კბილის ამოღება მაშინვე სჯობს. ხომ ვთქვი, თუკი ისეც ვერ შევასრულებ ჩემს სიტყვას, მიმატოვოს-მეთქი. ვერ შევასრულე და მორჩა.

კარენინი. შენთვის მორჩა, მაგრამ მიმისთვის არა.

ფედიკა. საკვირველია, შენ რომ ჩვენი ქორწინების სიმტიცეზე ზრუნავ.

კარენინს რალაცის თქმა უნდა. შემოდის მ.ა.შ.ა.

გაოსცლა მართხ

იგინივე და მ.ა.შ.ა. მერე ბოშები.

ფედიკა (კარენინს სიტყვის თქმას არ აცლის). მოისმინე, მოისმინე-მეთქი. მ.ა.შ.ა, იმღერე.

ბოშები თავს იყრიან.

მ.ა.შ.ა (ჩურჩულით). ბატონი როგორ შევამკო...

ფედიკა (იცინის). ასე შეამკეთ: ბატონი ვიქტორი, მიხაილოვიჩი...

ბოშები მღერიან.

კარენინი (შემცბარი უსმენს სიმღერას, მერე ფედიკას ეკითხება). რამდენი უნდა მივიცე?

ფედიკა. ოცდახუთი მიეცი.

კარენინი ფულს აძლევს მ.ა.შ.ს.

გაოსცლა მართხ

იგინივე, კარენინის გარეშე.

ფედიკა. საუცხოოა! ახლა „სელის ყანა“. (მიმოიხედავს). გაქცეულა კარენინი. მ.ა.შ, ჯანდაბამდე გზა ჰქონია.

ბოშები იშლებიან.

(ხელს აქნევს, მიდის მ.ა.შ.ასთან, დივანზე ჩამოუჯდება). აჰ, მ.ა.შ, მ.ა.შ, როგორ ამომიბრუნე მთელი გულ-გვაში.

<sup>1</sup> ჩავალე — ბოშების მიმართვა ერთმანეთისადმი: ბოშებო! (მთარგმნ. შენიშვნა).

<sup>2</sup> მე მინდოდა მოწმეების გარეშე მოგლაპარაკებოდი (ფრანგ.).

<sup>3</sup> ახლა მე თქვენგან მოვდივარ. თქვენმა მუხლემ ეს ბარათი მომცა და მერე... (ფრანგ.).

მ ა შ ა . მე რა გთხოვთ...

ფ ე დ ი ა . რა? ფული? (იღებს შარვლის ჯიბიდან). კარგი, გამომართვი.

მ ა შ ა იცინის, ართმევს ფულს და უბეში მალავს.

ფ ე დ ი ა (ბოშებს). კაცი ხარ და გაიგე, ეს რა არის. მე ზეცას მიხსნის, თვითონ კი რაღაც სუნამოს ფულსა მთხოვს. შენ ხომ ვერც კი ხვდები, რასა შერები.

მ ა შ ა . როგორ თუ ვერ ვხვდები. იმას ვხვდები, რომ ვინც მიყვარს, მისთვის ვცდილობ და უკეთ ვმღერი.

ფ ე დ ი ა . მე კი გიყვარვარ?

მ ა შ ა . ალბათ, მიყვარხარ.

ფ ე დ ი ა . საკვირველია. (ჰკოცნის).

ბოშა კაცები და ქალები გადიან. რჩებიან წყვილები: ფედია და მ ა შ ა , აფრემოვი და კატია, ოფიცერი და გ ა შ ა . მუსიკოსი წერს, ბოშა კაცი გიტარაზე ვალსს უკრავს.

მე ხომ ცოლიანი ვარ, შენ კი გუნდი არ უიშვებს. კარგადა ხარ?

მ ა შ ა . რასაკვირველია, კარგადა ვარ, როცა კარგი სტუმრებია. ჩვენც მხიარულად ვართ ხოლმე.

ფ ე დ ი ა . იცი, ის ვინ იყო?

მ ა შ ა . გვარი კი გამიგია.

ფ ე დ ი ა . მშვენიერი ადამიანია. იმისთვის ჩამოვიდა, შინ, ცოლთან მიხმობს. ცოლს ვუყვარვარ მე სულელი, მე კი აი, რასა ვშვრები.

მ ა შ ა . ჰო, ცუდია ეს. უნდა წახვიდე. უნდა შეიბრალო.

ფ ე დ ი ა . შენ გგონია, საჭიროა? მე კი მგონია, არ არის საჭირო.

მ ა შ ა . რა თქმა უნდა, თუ არ გიყვარს, არც არის საჭირო. მხოლოდ სიყვარულს აქვს ფასი.

ფ ე დ ი ა . შენ საიდან იცი?

მ ა შ ა . ალბათ, ვიცი.

ფ ე დ ი ა . აბა, მაკოცე. ჩავალეებო! ერთხელაც „სელის ყანა“ და მორჩა.

იწყებენ სიმღერას.

აჰ, კარგია! ნეტა არ გამეღვიძებოდეს. ასე მოგვედებოდე.

ფარდა

## მეორე მოქმედება

### პირველი სურათი

პირველი მოქმედების შემდეგ ორი კვირა გავიდა. ლიზას სახლი. კარენინი და ანა პავლეს ასული სასტუმრო ოთახში სხედან. კარიდან საშა შემოდის.

#### გამოსვლა პირველი

ს ა შ ა . ექიმმა თქვა, უკვე საშიშროება აღარ არისო. ოღონდ არ უნდა გაცივდეს.

ა ნ ა პ ა ვ ლ ე ს ა ს უ ლ ი . ჰოდა, მადლობა ღმერთს. თორემ ლიზა სულ გამოსავათდა.

ს ა შ ა . ცრუ ხუნაგი არისო, ანდა სუსტ ფორმაში... ეს რა არის? (კალათს უჩვენებს).

ა ნ ა პ ა ვ ლ ე ს ა ს უ ლ ი . აგერ, ვიქტორმა ყურძენი მოიტანა.

კ ა რ ე ნ ი ნ ი . ხომ არ ინებებთ?

ს ა შ ა . ჰო, ლიზას უყვარს. ძალიან ნერვული გახდა.

კ ა რ ე ნ ი ნ ი . ორი დამე არ იძინო, არაფერი ჰამო.

ს ა შ ა (ღიმილით). თქვენც ხომ...

კ ა რ ე ნ ი ნ ი . მე რა მიჭირს.

#### გამოსვლა მეორე

იგინივე. შემოდის ექიმი და ლიზა.

ექიმი (შთამაგონებლად). ესეც ასე. ყოველ ნახევარ საათში გამოუცვალეთ, თუ არ სძინავს. თუ სძინავს, ნულა შეაწუხებთ. ყელზე წასმა არ უნდა. ტემპერატურაც ასევე გქონდეთ ოთახში...

ლიზა. ისევე თუ სული შეეხუთა?

ექიმი. არა მგონია. თუ შეეხუთება — პულვერიზაცია. გარდა ამისა, ფხვნილი, დილით ერთი და საღამოს მეორე. ახლავე გამოვწერ.

ა ნ ა პ ა ვ ლ ე ს ა ს უ ლ ი . ჩაის ხომ არ მიირთმევთ, ექიმი?

ექიმი. არა, გმადლობთ, ავადმყოფები მელიან. (მაგიდას მიუჭდება).

საშას მოაქვს ქალაღი, მელანი.

ლიზა. ესე იგი, ალბათ, ხუნაგი არ არის.

ექიმი (ღიმილით). ზუსტად ასეა. (წერს).

ანა პავლოვნა ექიმს თავს ადგას.



კარენინი. ახლა კი ჩაი დალიეთ ანდა, უფრო აჯობებს, დაიძინოთ, თორემ ხომ ხედავთ, რას დაემსგავსეთ.  
ლიზა. უკვე გავცოცხლდი. მადლობელი ვარ თქვენი. ჭეშმარიტი მეგობარი ხართ. (ხელზე ხელს უჭერს).

საშა გაბრაზებით იწევს განზე, ექიმისაკენ.

გმადლობთ, მეგობარო. აი, შემწეობა როდის არის ძვირფასი.

კარენინი. მე რა გავაკეთე? არაფერი გაქვთ სამადლობელი.  
ლიზა. მაშ, ღამეებს ვინ ტეხდა, ვინ მოიყვანა ეს განთქმული კაცი? ყველაფერი თქვენ...

კარენინი. მე იმითაც დაჯილდოებული ვარ, მიკას არაფერი რომ არ ემუქრება და, რაც მთავარია — თქვენი სიკეთით. (ლიზა კვლავ უჭერს ხელს და კარენინი სიცილით უჩვენებს მონეტას, ქალს ხელში რომ შერჩენია).

ლიზა (იღიმება). ეს ექიმს. ოღონდ მე არასოდეს ვიცი, როგორ მივცე ხოლმე.

კარენინი. მეც არ შემიძლია.

ანა პავლეს ასული (მათან მიდის). რა არ შემიძლიაო?

ლიზა. ექიმისთვის ფულის მიცემა. საკუთარ სიცოცხლეზე მეტი გადამირჩინა, მე კი ფულს ვაძლევ. რაღაც უამური არის ამაში.

ანა პავლეს ასული. მომე, მე მივცემ, მე ვიცი. ძალიანაც ადვილია...

ექიმი (დგება და რეცეპტს აწვდის). მაშასადამე, ეს ფხვნილი ერთ სუფრის კოვზ ნაღულ წყალში კარგად აურიეთ და... (განაგრძობს დარიგებას).

კარენინი მაგიდასთან ჩაის სვამს. ანა პავლეს ასული და საშა წინ გამოდიან.

საშა. არ შემიძლია მაგათი ურთიერთობის ყურება. ლიზა მართლა შეყვარებულსა ჰგავს.

ანა პავლეს ასული. მერედა, აქ რა არის გასაკვირი?

საშა. საძაგლობაა...

ექიმი ყველას ეთხოვება და მიდის. ანა პავლეს ასული აცილებს.

### გაოსვლა მესამე

ლიზა, კარენინი და საშა.

ლიზა (კარენინს). უკვე ისეთი საყვარელია... ცოტა მოიკეთა თუ არა, მაშინვე დაიწყო ღიმილი და ტიკტიკი. წავალ, მივხედავ. თქვენ გან წასვლაც არ მინდა.

კარენინი. ის სჯობია, ჩაი დალიეთ, ჭამეთ რაღაცა.

ლიზა. უკვე არაფერი არ მჭირდება. ძალიან კარგად ვარ იმ შიშის შემდეგ. (სლუკუნებს).

კარენინი. აი, ხომ ხედავთ, რა სუსტადა ხართ.

ლიზა. ბედნიერი ვარ. ხომ არ დახედავთ?

კარენინი. რა თქმა უნდა.

ლიზა. წამომყევით.

გადიან.

### გაოსვლა მეოთხე

საშა და ანა პავლეს ასული.

ანა პავლეს ასული (ბრუნდება). მშენივრად გადავეცი და კიდევაც გამომართვა. შენ რა ცხვირპირი ჩამოგტირის?

საშა. საძაგლობაა. ბავშვის ოთახში გაიყოლა. თითქოს საქმრო იყოს ანდა ქმარი.

ანა პავლეს ასული. კი მაგრამ, შენ რა გინდა? რისთვის ცხარობ? ანდა, შენ ხომ არ გინდა, ცოლად გაჰყვე?

საშა. მე, ამ ახმახს? ვისაც გინდა მივთხოვდები, მაგრამ მაგას არა. აზრადაც არ გამივლია. მე მხოლოდ ის მზარავს, ფედისას შემდეგ ლიზას ასე რომ შეუძლია უცხო კაცთან დაახლოება.

ანა პავლეს ასული. რა უცხო ეგ არის — ბავშვობის მეგობარია.

საშა. მაგრამ მე ხომ მაგათ ღიმილზე, თვალეზე ვატყობ, ერთმანეთი რომ უყვართ.

ანა პავლეს ასული. მერე რა არის ამაში საკვირველი? კაცმა ბავშვის ავადმყოფობა გულთან მიიტანა, უთანაგრონო ლიზას, დაეხმარა, ჰოდა, ლიზაც მადლიერია. გარდა ამისა — რატომაც არ უნდა შეუყვარდეს ვიქტორი და რატომაც არ უნდა გაჰყვეს ცოლად?

საშა. ეს საშინელება იქნებოდა. საძაგლობაა, საძაგლობაა.

### გაოსვლა მესამე

კარენინი და ლიზა გამოდიან.

კარენინი უსიტყვოდ ეთხოვება ყველას. საშა გაბრაზებული გადის.

### გაოსვლა მეექვსე

ანა პავლეს ასული და ლიზა.

ლიზა (დედას). რა მოუვიდა?

ანა პავლეს ასული. მართალი გითხრა, არ ვიცი.

ლიზა უსიტყვოდ ოხრავს.

ფარდა

აფრემოვის კაბინეტი. ჭიქებში ღვინო ასხია. სტუმრები.

გამოსვლა პირველი

აფრემოვი, ფედია, გაბანჯგვლული სტახოვიჩი, წვერგაპარსული ბუტკევიჩი, მიტმასნილი კოროტკოვი. კოროტკოვი. მე კი გეუბნებით, ალამს უკან მოიტოვებს-მეთქი: ლა-ბელ-ბუა — ევროპაში პირველი ცხენი. სანაძლეო თუ გინდათ.

სტახოვიჩი. გეყოფა რომეა. თავადაც იცი, არავის სჯერა შენი. არც სანაძლეოზე გამოგყვება ვინმე.

კოროტკოვი. გეუბნები-მეთქი. შენი კარტუში ალამს უკან დარჩება.

აფრემოვი. გეყოფათ კამათი. მე შეგარიგებთ. ჰკითხეთ ფედიას. ის სწორად იტყვის.

ფედია. ორივე ცხენი კარგია. საქმე ისაა, მხედარი ვინ იქნება.

სტახოვიჩი. გუსევი ფლიდი კაცია. ხელში მაგრად უნდა გეჭიროს.

კოროტკოვი (ყვირის). არა!

ფედია. გაჩერდით, მე შეგარიგებთ. დერბი ვინ მოიგო?

კოროტკოვი. კი მოიგო, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. შემთხვევის საქმე იყო. კრონპრინცი ავად არ გამხდარიყო და მაშინ ვნახავდით.

შემოდის ლაქია.

გამოსვლა მეორე

იგინივე და ლაქია

აფრემოვი. რა გინდა?

ლაქია. ქალბატონი მობრძანდა, ფიოდორ ვასილიევიჩს კითხულობს.

აფრემოვი. როგორი? მანდილოსანია?

ლაქია. არ ვიცი, ვერ გეტყვით. ოღონდ ნამდვილი ქალბატონია.

აფრემოვი. ფედია. შენთან ქალბატონია!

ფედია (შეშფოთებით). ვინ არის?

აფრემოვი. არ იცის, ვინ არის. (ლაქიას). სთხოვე, დარბაზში შემოვიდეს.

ფედია. დაიცა, მე წავალ და ვნახავ. (გადის).

იგინივე, ფედია და ლაქიას გარდა.

კოროტკოვი. ვინ მოაკითხა? ალბათ, მაშკაა.

სტახოვიჩი. რომელი მაშკა?

კოროტკოვი. მაშა, ბოშა ქალი. ჩაეფსკენა ფედიას, გეუბნება მისი სიყვარულით.

სტახოვიჩი. რა ტურფა გოგოა. თან მღერის.

აფრემოვი. მშვენიერებაა! ტანიუშა და ეგა. გუშინ პეტრესთან ერთად იმღერეს.

სტახოვიჩი. რა ყისმათიანი ყოფილა ეს...

აფრემოვი. უყვართ ქალებს, ღმერთმა ხელი მოუმართოს.

კოროტკოვი. არ მიყვარს ბოშა ქალები. სინატიფე აკლიათ.

ბუტკევიჩი. აბა, შენც იტყვი.

კოროტკოვი. ყველას ერთ ფრანგ ქალში არ გაცვლიდი.

აფრემოვი. ჰო, შენ ხომ ცნობილი ესთეტი ხარ. წავალ, ვნახავ, ვინ არის. (გადის).

გამოსვლა მეთხუთე

იგინივე, აფრემოვის გარდა.

სტახოვიჩი. თუ მაშაა, მოიყვანე აქ, იმღეროს. არა, უკვე აღარ არიან წინანდელი ბოშები. ტანიუშა იყო, თუ იყო. აჰ, დალაზვროს ღმერთმა.

ბუტკევიჩი. მე კი მგონია, ყველაფერი კვლავ ისევე-ისეა.

სტახოვიჩი. როგორ არის ისე, როცა სიმღერის ნაცვლად უხამსი რომანსები?

ბუტკევიჩი. კარგი რომანსებიც არის.

კოროტკოვი. გინდა, დავნაძლევედეთ: მე ვამღერებ, შენ კი ვერ მიხვდები, სიმღერაა თუ რომანსი?

სტახოვიჩი. კოროტკოვს სულ სანაძლეო აკერია პირზე.

გამოსვლა მესამე

იგინივე და აფრემოვი.

აფრემოვი (შემოდის). ბატონებო, მაშა არ ყოფილა. თანაც, ვერსად შევიყვანთ, მხოლოდ აქ შეიძლება. საბილიარდოში გავიდეთ.

კოროტკოვი. მოდი, დავნაძლევედეთ. რაო, შეშინდი?

სტახოვიჩი. კარგი, კარგი.

კოროტკოვი. ჰოდა, მოგიწევს ბოთლის ჩამოდგმა.  
სტახოვიჩი. ეგრე იყოს. ღვინო წამოიყოლე.  
ლაპარაკ-ლაპარაკით გადიან.

### გამოსვლა მუხრანში

შემოდინ ფედი და საშა.  
ფედი. აქეთ შევიდეთ. აჰ, აჰ. ეს როგორ ჰქენი. ჰო, ჰო...  
საშა (შემცბარნი). ფედი, მაპატიე, იქნებ, არ გსიამოვნებს, მაგრამ,  
თუ ღმერთი გწამს, მომისმინე (ხმა უთრთის).

ფედი (ოთახში მიმოდის. საშა ჩამოჯდა, მას შესცქერის). გისმენ.  
საშა. ფედი, დაბრუნდი შინ.

ფედი. ძალიან მესმის შენი, საშა, ჩემო კარგო, შენს ადგილზე მეც  
ამას ვიზამდი: შევეცდებოდი, როგორმე ძველებურად ყოფილი-  
ყო ყველაფერი, მაგრამ შენ რომ ყოფილიყავი ჩემს ადგილზე,  
ჩემო კარგო, ჩემო გულსხმიერო გოგონა, რა უცნაურიც უნდა  
იყოს ამის თქმა — ჩემს ადგილზე ყოფილიყავი, შენც ალბათ  
იმას იზამდი, რაც მე ვქენი, ესე იგი წახვიდოდი, ხელს არ შე-  
უშლიდი სხვის ცხოვრებას...

საშა. როგორ თუ ხელს შეუშლიდი? განა ღიზას შეუძლია უშენოდ  
ყოფნა?

ფედი. აჰ, საშა, ჩემო კარგო, ჩემო ძვირფასო, შეუძლია, შეუძლია,  
ბედნიერიც იქნება, ბევრად უფრო ბედნიერი, ვიდრე ჩემთან  
იყო.

საშა. არასოდეს.

ფედი. შენ გგონია ასე. (ხელში ბარათი უჭირავს და კეცავს). საქმე  
ის კი არ არის, უფრო სწორად, ასე კი არა, აი, რა უნდა მეთქვას  
საქმე ისაა, რომ მე არ შემიძლია, ესაა უმთავრესი. იცი, სქელი  
ქალღი, როგორც გინდა, ისე შეგიძლია გადაკეცი. ასჯერ გა-  
დაკეცავ. ის კი მაინც მთელია. მაგრამ ასმეერთეჯერ თუ გადაკე-  
ცი, შუაზე გაიყოფა. ჩემი და ღიზას საქმეც ასეა. ძალიან მი-  
ძინს მისთვის თვალის გასწორება. ისიც ასევეა — დამიჯერე.

საშა. არა, არა.

ფედი. ამბობ, არაო, არადა, თვითონვე იცი, რომ ასეა.

საშა. მე მხოლოდ ჩემს მიხედვით ვმსჯელობ. მე რომ ვიყო მის ად-  
გილზე და შენ ის გეპასუხა, რასაც ახლა მპასუხობ, ეს საშინე-  
ლება იქნებოდა ჩემთვის.

ფედი. შენთვის ჰო.

ღუმელი. ორივე შემცბარია.

საშა (დგება). ნუთუ ყველაფერი ასევე დარჩება?

ფედი. ასეა საჭირო.

საშა. ფედი, დაბრუნდი.

ფედი. შენი მადლობელი ვარ, საშა, ჩემო კარგო. ძვირფას მოგო-  
ნებად დამრჩები მუდამ... აბა, მშვიდობით, ძვირფასო. მოდი,  
გაკოცო. (შუბლზე ჰკოცნის).

საშა (აღელვებული). არა, მე არ გემშვიდობები. არ მჯერა და არც  
მინდა დავიჯერო... ფედი...

ფედი. აბა, მაშინ, მომისმინე. ოღონდ სიტყვა მომეცი, რომ რასაც  
ჩემგან მოისმენ, არავის ეტყვი. მპირდები?

საშა. რასაკვირველია.

ფედი. მაშინ, მომისმინე, საშა. მართალია, ქმარი ვარ, მისი ბავშ-  
ვის მამა, მაგრამ ზედმეტი ვარ. დაიცა, დაიცა, ნუ შემაწყვეტი-  
ნებ. შენ გგონია, ვეჭვიანობ? სულაც არა. ჯერ ერთი, არა მაქვს  
ამის უფლება, მეორეც, არც საბაბი მაქვს. ვიქტორ კარენინი მი-  
სი ძველი მეგობარია და ჩემი მეგობარიცაა. ვიქტორს უყვარს  
ღიზა და ღიზასაც უყვარს იგი.

საშა. არა.

ფედი. უყვარს, როგორც შეიძლება უყვარდეს პატიოსან, ზნეობ-  
რივ ქალს, რომელიც თავს ნებას არ მისცემს, ქმრის გარდა სხვა  
ვინმე უყვარდეს. მაგრამ მას უყვარს და ეყვარება, თუკი ეს დაბ-  
რკოლება (თავის თავზე უჩვენებს) მოსცილდება. მე მოვაცილებ  
ამას და ბედნიერები იქნებიან (ხმა უთრთის).

საშა. ფედი, ამას ნუ ამბობ.

ფედი. შენ ხომ იცი, რომ ეს მართალია, მეც გამიხარდება მათი ბედ-  
ნიერება, უკეთესს ვერც ვერაფერს გავაკეთებ, არ დავბრუნდე-  
ბი, ვათავისუფლებ ორივეს, ასეც უთხარი. არა, ნურაფერს მე-  
ტყვი, კარგად იყავი (თავზე ჰკოცნის და კარს აღებს).

საშა. ფედი, ალტაცებული ვარ შენით.

ფედი. მშვიდობით, მშვიდობით.

საშა გადის.

### გამოსვლა მუხრანში

ფედი მარტო.

ფედი. ჰო, ჩინებულია, მშვენებელი. (ზარს რეკავს).

### გამოსვლა მარტო

ფედი და ლაქია.

ფედი. ბატონს დაუძახეთ.

ლაქია გადის.

14. ლ. ტოლსტოი

ფედიკა მარტო.

ფედიკა. მართლაც, მართლაც.

გამოსვლა მათა

შემოდის აფრემოვი.

აფრემოვი. როგორ მოგვარე საქმე?

ფედიკა. ჩინებულად. „მევედრებოდა, შესთხოვდა ზენას...“ ჩინებულად. სად გაიკრიფა ყველა?

აფრემოვი. იქ არიან, თამაშობენ.

ფედიკა. ძალიან კარგი. წავიდეთ... „ერთი საათით ჩემთან დარჩენას“.

ფარდა

მესამე მოქმედება

პირველი სურათი

თავადი აბრეჯკოვი — ელეგანტური უცოლო კაცი, 60 წლისა. წვერგაპარსული, უღვაშა. დიდი ღირსებითა და სევდით აღსავსე ძველი სამხედრო პირი. ანა დმიტრის ასული კარენინა — ვიქტორის დედა, თავი ახალგაზრდულად უჭირავს, 50 წლისა, grand-dame. ლაპარაკში ფრანგულ სიტყვებს ურთავს. ლიზა, ვიქტორი, ლაქია. ანა დმიტრის ასულის კაბინეტი, დიდებულად სადა, სუვენირებით სავსე.

გამოსვლა პირველი

ანა დმიტრის ასული ბარათს წერს.

გამოსვლა მეორე

ანა დმიტრის ასული და ლაქია.

ლაქია. თავადი სერგეი დმიტრიევიჩი.

ანა დმიტრის ასული. ჰო, რასაკვირველია (მობრუნდება და სარკის წინ კოხტავდება).

ანა დმიტრის ასული და თავადი აბრეჯკოვი. თავადი აბრეჯკოვი (შემოდის). J'espère que je ne force pas la consigne.<sup>1</sup> (ხელზე ჰკოცნის).

ანა დმიტრის ასული. თქვენ იცით, რომ vous êtes toujours le bienvenu.<sup>2</sup> ახლა კი, ამჯერად, განსაკუთრებით. ჩემი ბარათი მიიღეთ?

თავადი აბრეჯკოვი. მივიღე, და ესეც ჩემი პასუხი.

ანა დმიტრის ასული. აჰ, ჩემო მეგობარო, ლამისაა სასოწარკვეთილებაში ჩავვარდე. Il est ensorcelé, positivement ensorcelé.<sup>3</sup> არასოდეს შემიმჩნევია მასში ასეთი დაჟინება, ასეთი სიჯიუტე, ასეთი უგულობა, ასეთი გულგრილობა ჩემდამი. სულ შეიცვალა მას შემდეგ, რაც იმ ქალმა ქმარი მიატოვა.

თავადი აბრეჯკოვი. მაგრამ მაინც რა არის, როგორ არის საქმე?

ანა დმიტრის ასული. როგორ და, რაღაც უნდა დაუჯდეს, სურს ცოლად შეირთოს.

თავადი აბრეჯკოვი. მაგრამ ქმარი?

ანა დმიტრის ასული. განქორწინებას აძლევს.

თავადი აბრეჯკოვი. აჰა.

ანა დმიტრის ასული. ვიქტორიც თანახმაა ამაზე, და მთელი ეს ჰუჭყი, ვეჟილები, დანაშაულის მტკიცებანი. Tout ça est degoutant.<sup>4</sup> გულზე არ ეკარება ეს ყველაფერი. ვერ გამიგია, რა მოუვიდა. ასეთი გულისხმიერი, ასეთი მორცხვი და...

თავადი აბრეჯკოვი. უყვარს. აჰ, თუკი კაცს მართლა უყვარს, მაშინ...

ანა დმიტრის ასული. ჰო, მაგრამ რატომ იყო, რომ ჩვენს დროს შეიძლებოდა სიყვარული წმინდა ყოფილიყო, მეგობრობა ყოფილიყო, რომელიც ადამიანს მთელი ცხოვრების მანძილზე მიჰყვებოდა? მესმის ასეთი სიყვარული, ვაფასებ.

თავადი აბრეჯკოვი. ახლა ახალ თაობას უკვე აღარ აკმაყოფილებს იდეალური ურთიერთობები. La possession de l'âme ne leur suffit plus.<sup>5</sup> რა გაეწყობა. მაგრამ ვიქტორს რა ვუყოთ?

1 იმედი მაქვს, ბრძანება არ დამირღვევია (ფრანგ.).

2 მუდამ სასურველი სტუმარი ხართ (ფრანგ.).

3 იგი მოჯადოებულია, ნამდვილად მოჯადოებულია (ფრანგ.).

4 ყოველივე ეს ამაზრუნია (ფრანგ.).

5 სულიერი სიახლოვე მათ უკვე აღარ აკმაყოფილებთ (ფრანგ.).

ანა დმიტრის ასული. არა, მასზე ნუ იტყვით. მაგრამ ეს რა-  
ღაც ჯადოქრობაა. თითქოს შეცვალა ვინმემ. თქვენ ხომ იცით,  
ვიყავი იმ ქალთან. ისე შემეხვეწა ვიქტორი. მივედი, მაგრამ შინ  
არ იყო, ბარათი დავეტოვე. Elle m'a fait demander quand  
je pourrai la recevoir.<sup>1</sup> ჰოდა, ახლა (საათს უყურებს). ორ სა-  
ათზე, ესე იგი სულ მალე უნდა მოვიდეს. ვიქტორს აღვუთქვი,  
მივიღებ-მეთქი, მაგრამ გაიგეთ ჩემი მდგომარეობა. თავგზა მაქვს  
აბნეული. ამიტომაც, ძველი ჩვეულებისამებრ, მსახური გაახლეთ.  
თქვენი დახმარება მჭირდება.

თავადი აბრეზკოვი. მადლობელი გახლავართ.

ანა დმიტრის ასული. გაიგეთ, რომ ეს მისი სტუმრობა მთელს  
საქმეს წყვეტს — ვიქტორის ბედ-იღბალს. მე ან არ უნდა და-  
ვეთანხმო... არადა, როგორ შემიძლია...

თავადი აბრეზკოვი. სულ არ იცნობთ?

ანა დმიტრის ასული. არასოდეს მინახავს. მაგრამ მეშინია  
მისი. არ შეუძლია კარგ ქალს ქმრის მიტოვებას დაეთანხმოს.  
თანაც, კარგი ადამიანის მიტოვებას. ის კაცი ხომ ვიქტორის ამ-  
ხანავა და ნამყოფია ჩვენს სახლში. ძალიან საყვარელი ყმაწვი-  
ლი იყო. სულ ერთია, როგორც უნდა იყოს. Quels que soient  
les torts qu'il a eus vis-à-vis d'elle,<sup>2</sup> არ შეიძლება ქმრის მი-  
ტოვება. უნდა ზიდო საკუთარი ჯვარი. ერთი რამ ვერ გამიგია:  
მისი შეხედულებები რომ ვიცი, როგორ შეუძლია ვიქტორს  
ქმარგაყრილ ქალთან ქორწინებას დაეთანხმოს. რამდენჯერ —  
სულ ახლახანს ჩემი თანდასწრებით სპიციანს ეკამათებოდა, უმტ-  
კიცებდა, გაყრა შეუთავსებელია ჭეშმარიტ ქრისტიანობასთან,  
ახლა კი თვითონ სჩადის ამას. Si elle a pu le charmer à un  
tel point,<sup>3</sup> მეშინია მისი. თუმცაღა, იმისთვის გიხმეთ, თქვენი  
აზრი მომესმინა, მე კი თვითონ გავიკრიფე ენად. თქვენ რას  
ფიქრობთ? მითხარით. თქვენი აზრით, რა უნდა ვქნა? როგორ  
უნდა მოვიქცე? ვიქტორს ელაპარაკეთ?

თავადი აბრეზკოვი. ველაპარაკე. და მე ვფიქრობ, უყვარს ის  
ქალი, შეეჩვია ამ სიყვარულს, თავის ძალაუფლებაში მოაქცია  
ამ სიყვარულმა, ვიქტორი კი ისეთი ადამიანია, ნელ-ნელა, მაგრამ  
მტკიცედ ითვისებს ყოველივეს. რაც გულში ჩაუფარდა, მორჩა,  
უკვე აღარ ამოუვარდება. მის გარდა უკვე აღარავინ შეუყვარ-  
დება და სხვასთან უკვე აღარც შეუძლია ბედნიერი ცხოვრება.

ანა დმიტრის ასული. არადა, ვარია კახანცევა გაჰყვებოდა.  
როგორი ქალიშვილია და ვიქტორიც როგორ უყვარს.

თავადი აბრეზკოვი (ღიმილით). C'est compter sans son hôte.<sup>1</sup>  
ეს უკვე სავსებით აუხდენელია. და, მე მგონი, სჯობს დავმორ-  
ჩილდეთ და ხელი შევუწყოთ დაქორწინებაში.

ანა დმიტრის ასული. ქმარგაყრილთან დაქორწინებაში, რათა  
მერე თავისი ცოლის ქმარს ხედებოდეს? ვერ გამიგია, როგორ  
შეგიძლიათ მშვიდად ილაპარაკოთ ამაზე. განა ეს ის ქალია, რო-  
მელსაც დედა თავისი ერთადერთი ვაჟის, თანაც როგორი ვაჟის,  
ცოლად ისურვებდა?

თავადი აბრეზკოვი. აბა, რა უნდა ვქნათ, ჩემო კარგო. რასაკ-  
ვირველია, სჯობს ისეთ ქალიშვილზე დაქორწინება, რომელსაც  
თქვენ იცნობთ და გიყვართ. მაგრამ თუკი ეს არ შეიძლება...  
ისიც სათქმელია, აი, ბოშა ქალი რომ შეერთო ანდა, ღმერთმა  
უწყის, კიდევ ვინ. ღიზა რახმანოვა კი ძალზე კარგი, სათნო ქა-  
ლია; ჩემი ძმისწულისაგან, ნელისგან ვიცნობ. მშვიდი, კეთილი,  
მოსიყვარულე და ზნეკეთილი ქალია.

ანა დმიტრის ასული. ზნეკეთილი ქალი, რომელიც ქმარს თავს  
ანებებს.

თავადი აბრეზკოვი. ვერა გცნობთ. მკაცრი ხარო, გულქვა  
ხარო. მისი ქმარი ერთი იმათგანია, ვისზედაც ამბობენ, მხოლოდ  
თვითონაა თავისი თავის მტერიო. მაგრამ ის ცოლის მტერიცაა.  
ერთობ სუსტი, სავსებით გარყვნილი, ლოთი კაცია. მთელი თავისი  
ქონება გაფლანგა და ცოლის ქონებაც ზედ მიაყოლა, —  
ქალს კი ბავში ჰყავს. როგორ ადანაშაულებო ქალს, რომელმაც  
ასეთი კაცი მიატოვა? თანაც, მან კი არა, კაცმა მიატოვა ქალი.

ანა დმიტრის ასული. აჰ, რა ჭუჭყია, რა ჭუჭყია. მე კი მასში  
უნდა გავითხვარო.

თავადი აბრეზკოვი. თქვენს რელიგიას რას უშვრებით?

ანა დმიტრის ასული. ჰო, ჰო, მიტევება. „ვითარცა ჩვენ მი-  
ვუტევებთ თანანადებოთა ჩვენთა“. Mais c'est plus fort que moi.<sup>2</sup>

თავადი აბრეზკოვი. აბა, როგორ უნდა იცხოვროს ასეთ კაც-  
თან? კიდევ არავინ რომ არ უყვარდეს, მაინც უნდა შეეყვარე-  
ბინა ვინმე. ბავშვის გულისთვის მაინც უნდა შეეყვარებინა.  
თვითონ ქმარი, ჭკვიანი და კეთილი კაცი, როცა თავის ჭკუაზეა,  
ამასვე ურჩევს.

1 მთხოვა, როდის შეგიძლიათ ჩემი მიღებაო (ფრანგ.).

2 რა დამნაშავეც უნდა იყოს მის წინაშე (ფრანგ.).

3 თუკი მისი ასე მოჯადოება შეძლო (ფრანგ.).

1 ეს პატრონის გარეშე ანგარიშია (ფრანგ.).

2 ეს ჩემს ძალეებს აღემატება (ფრანგ.).

ანა დმიტრის ასული, თავადი აბრეჯკოვი, შემოდის კარენინი, დედას ხელზე ჰკოცნის, თავად აბრეჯკოვის ესალმება.

კარენინი. დედა! ერთი რამ უნდა გითხრათ, ამისთვის გამოვედი: ახლა ლიზავეტა ანდრეევნა მოვა და მხოლოდ ერთსა გთხოვთ და გვედრებით: თუკი კვლავ თანახმა არა ხართ ჩვენს ქორწინებაზე...

ანა დმიტრის ასული (აწყვეტილებს). რასაკვირველია, კვლავ არა ვარ თანახმა.

კარენინი (სათქმელს განაგრძობს, ილუშება)... მაშინ გთხოვთ, გვედრებით: არა თქვით უარი, უარყოფითად არ გადაწყვიტოთ.

ანა დმიტრის ასული. მე მგონი, ამგვარ რამეზე არც ვილაპარაკებთ. ყოველ შემთხვევაში, მე არაფრით არ წამოვიწყებ.

კარენინი. იგი მით უმეტეს. მე მხოლოდ ის მინდა, რომ გაიცნოთ.

ანა დმიტრის ასული. ერთი რამ ვერ გამიგია: როგორ უთავსებ ქმარცოცხალ ქალბატონ პროტასოვაზე დაქორწინების სურვილს იმ შენს რელიგიურ შეხედულებებს, რომ ცოლ-ქმრის გაყრა ქრისტიანობას ეწინააღმდეგება?

კარენინი. დედა! ეს დიდი სიმკაცრეა თქვენი მხრივ! ნუთუ ყველა ჩვენგანი ისე უცოდველნი ვართ, რომ ვერ ვთმობთ ჩვენს შეხედულებებს, როცა ცხოვრება ესოდენ რთულია? დედა, რატომ მეკიდებით ასე სასტიკად?

ანა დმიტრის ასული. მიყვარხარ, შენთვის ბედნიერება მინდა.

კარენინი (თავად აბრეჯკოვის). სერგეი დმიტრიევიჩ!

თავადი აბრეჯკოვი. რასაკვირველია, შვილის ბედნიერება გინდათ, მაგრამ ჩვენთვის, გაჭაღარავებულთათვის, უკვე ძნელია ახალგაზრდობას გავუყოთ. განსაკუთრებით დედას უმძიმს ეს, შვილისთვის თავისი ბედნიერების აზრს რომ შესჩვევია. ყველა ქალი ასეა.

ანა დმიტრის ასული. დიახ, დიახ, სწორედ ასეა. ყველანი ჩემს წინააღმდეგ ხართ. რა თქმა უნდა, შეგიძლია ეს გააკეთო, vous êtes majeur,<sup>1</sup> მაგრამ დამლუბავ და ის იქნება.

კარენინი. ველარა გცნობთ. ეს სისასტიკეზე უარესია.

თავადი აბრეჯკოვი (ვიქტორს). გაჩუმიდი, ვიქტორ. დედა მუდამ უფრო ცუდად ლაპარაკობს, ვიდრე აკეთებს ხოლმე.

<sup>1</sup> შენ სრულწლოვანი ხარ (ფრანგ.).

ანა დმიტრის ასული. მე იმას ვიტყვი, რასაც ვფიქრობ და ვგრძნობ, და ისე ვიტყვი, შეურაცხყოფას არ მივაყენებ. თავადი აბრეჯკოვი. ნამდვილად ასე იქნება.

გამოსვლა მესამე

ანა დმიტრის ასული, თავადი აბრეჯკოვი, კარენინი. შემოდის ლაქია.

თავადი აბრეჯკოვი. აი, ისიც.

კარენინი. მე გავალ.

ლაქია. ლიზავეტა ანდრეევნა პროტასოვა.

კარენინი. მე მივდივარ, დედა. გეთაყვა...

თავადი აბრეჯკოვიც დგება.

ანა დმიტრის ასული. სთხოვეთ. (თავად აბრეჯკოვის). არა, თქვენ დარჩით.

გამოსვლა მეოთხე

ანა დმიტრის ასული და თავადი აბრეჯკოვი. თავადი აბრეჯკოვი. მე ვიფიქრე, თქვენთვის უფრო ადვილი იქნებოდა en tête-à-tête.<sup>1</sup>

ანა დმიტრის ასული. არა, მეშინია. (წრიალებს). თუკი tête-à-tête დარჩენას მოვისურვებ, განიშნებთ. Ça dépendra...<sup>2</sup> თორემ მართო რომ დავრჩე მასთან, თავს შებოჭილად ვიგრძნობ. ასე განიშნებთ...

თავადი აბრეჯკოვი. მივხვდები. დარწმუნებული ვარ, მოგეწონებთ. ოღონდ სამართლიანი იყავით.

ანა დმიტრის ასული. ყველა როგორ გადამიდევით.

გამოსვლა მეხუთე

იგინივე. შემოდის ლიზა, შლაპა ახურავს, სავიზიტო კაბა აცვია.

ანა დმიტრის ასული (წამოდგება). ვწუხდი, შინ რომ ვერ გნახეთ, მაგრამ ისეთი კეთილი ბრძანებულხართ, თვითონ მოხვედით.

<sup>1</sup> პირისპირ (ფრანგ.).

<sup>2</sup> ეს დამოკიდებული იქნება... (ფრანგ.).

ლიზა. არ მეგონა, თუ მობრძანდებოდით. ძალიან მადლობელი ვარ, ჩემი ნახვა რომ ინებეთ.

ანა დმიტრის ასული. იცნობთ ერთმანეთს? (თავად აბრეშკოვზე უჩვენებს).

თავადი აბრეშკოვი. როგორ არა, მქონდა თქვენს წინაშე წარდგენის პატივი. (Shake hanbs.<sup>1</sup> სხდებიან). ჩემი ძმისშვილი ნელი ხშირად მელაპარაკება თქვენზე.

ლიზა. ჰო, ძალიან ვმეგობრობდით ერთმანეთს. (მორცხვად ათვალეერებს ანა დმიტრის ასულს). ახლაც ვმეგობრობთ. (ანა დმიტრის ასულს). არაფრით ველოდი, თუ ჩემს ნახვას ინებებდით.

ანა დმიტრის ასული. თქვენს ქმარს კარგად ვიცნობდი. ვიქტორთან მეგობრობდა და ჩვენსა დადიოდა ხოლმე, სანამ ტამბოვეში გადავიდოდა. მგონი, იქ დაქორწინდა თქვენზე?

ლიზა. ჰო, იქ დაქორწინდით.

ანა დმიტრის ასული. მერე კი, როცა ისევ მოსკოვში გადმოვიდა, უკვე აღარ მოსულა ჩვენს სახლში.

ლიზა. ჰო, თითქმის არასად არ დადიოდა.

ანა დმიტრის ასული. არც თქვენი თავი გამაცნო.

უხერხული დუმილი.

თავადი აბრეშკოვი. ბოლოს დენისოვებთან გნახეთ, სპექტაკლზე. გახსოვთ? ძალიან კარგი იყო. თქვენც თამაშობდით.

ლიზა. არა... ჰო... როგორ არა... მახსოვს. ვთამაშობდი.

კვლავ დუმილი.

ანა დმიტრიევნა, მომიტევეთ, თუკი არ გესიამოვნებათ, რასაც ვიტყვი, მაგრამ თვალთმაქცობა არ შემიძლია. იმიტომ მოვედი, რომ ვიქტორ მიხაილოვიჩმა მითხრა... იმიტომ, რომ მას, უფრო სწორად — იმიტომ, რომ თქვენ ჩემი ნახვა გინდოდათ... მაგრამ სჯობს ყველაფერი ითქვას... (სლუკუნებს). ძალიან მიძიმს... თქვენ კი კეთილი ხართ.

თავადი აბრეშკოვი. ჰო, სჯობს წავიდე.

ანა დმიტრის ასული. კარგი, წადით.

თავადი აბრეშკოვი. კარგად ბრძანდებოდეთ. (ორივე ქალს ეთხოვება და გადის).

ანა დმიტრის ასული და ლიზა.

ანა დმიტრის ასული. მომისმინეთ, ლიზა, არ ვიცი, მამის სახელით როგორ მოგმართოთ, და არც მინდა ვიცოდე.

ლიზა. ანდრეევნა.

ანა დმიტრის ასული. სულ ერთია — ლიზა. მე თქვენ მებრალეებით, თან მესიმპათიურებით. მაგრამ ვიქტორი მიყვარს. ერთი არსება მიყვარს მთელს ქვეყანაზე. ვიცი მისი გული, საკუთარივით ვიცი. ამაყი გული აქვს. ჯერ კიდევ შვიდი წლის ბიჭი ამაყი იყო. არა სახელით, არა ქონებით, თავისი სიწმინდით იყო ამაყი, თავისი ზნეობრივი სიმალლით. და არც დაუმცრია ეს სიმალლე. მტრედივით უმანკოა.

ლიზა. ვიცი.

ანა დმიტრის ასული. არც ერთი ქალი არ ჰყვარებია. თქვენ ხართ პირველი. ვერ ვიტყვი, რომ არ ვეჭვიანობ თქვენზე. ვეჭვიანობ. მაგრამ ჩვენ, დედები, — თქვენ ჯერ პატარა გყავთ, თქვენთვის ჯერ აღრეა, — საამისოდ ვემზადებით ხოლმე. მეც ვემზადებოდი, რათა ცოლისთვის ჩამებარებინა და არ მეეჭვიანა. მაგრამ ისეთივე წმინდა ქალისათვის ჩამებარებინა, როგორიც თვითონაა.

ლიზა. მე.. განა მე...

ანა დმიტრის ასული. მაპატიეთ, ვიცი, რომ დამნაშავე არა ხართ, მაგრამ არც ბედნიერი ხართ. ვიქტორსაც ვიცნობ. ახლა იგი მზადაა ყველაფერი გადაიტანოს, გადაიტანს კიდევ, არც არაფერს იტყვის, მაგრამ დაიტანჯება. მისი შეუთრაცხყოფილი სიამაყე დაიტანჯება და არ იქნება ბედნიერი.

ლიზა. მეც მიფიქრია ამაზე.

ანა დმიტრის ასული. ლიზა, ჩემო კარგო. თქვენ ჰყვანი, კარგი ქალი ხართ. თუკი ვიქტორი გიყვართ, მაშინ მისი ბედნიერება საკუთარზე მეტად უნდა გინდოდეთ. ხოლო თუ ასეა, არ ისურვებთ მის შებოჭვას და არ აძულვებთ, რომ ინანოს — თუმცა იგი არაფერს იტყვის, არასოდეს იტყვის.

ლიზა. ვიცი, რომ არ იტყვის. ამაზეც მიფიქრია, შეგკითხვიარ ჩემს თავს. ვიფიქრე და კიდევ ვუთხარი. მაგრამ რა უნდა ვქნა, როცა მეუბნება, უშენოდ ცხოვრება არ შემიძლიაო. ვეუბნებოდი, მეგობრები ვიყოთ, მაგრამ მოიწყვეთ საკუთარი ცხოვრება, ნუ დაუკავშირებთ თქვენს წმინდა ცხოვრებას ჩემს უბედურ ყოფას-მეთქი. არ უნდა.

<sup>1</sup> ხელის ჩამორთმევით ესალმებიან ერთმანეთს (ფრანგ.).

ანა დმიტრის ასული. ჰო, ახლა არ უნდა.  
ლიზა. დაითანხმეთ, რომ დამტოვოს. მე თანახმა ვარ. მე მისთვისვე მიყვარს იგი და არა საკუთარი ბედნიერებისათვის. ოღონდ დამეხმარეთ, ნურც შემძულვებთ. ყველას ერთად გვიყვარდეს და სიკეთე ვეძიოთ მისთვის.

ანა დმიტრის ასული. ჰო, ჰო, შემეყვარდით. (ჰკოცნის ქალს. ლიზა ტირის). მაგრამ მაინც, მაინც საშინელებაა ეს. აი, მაშინ რომ შეეყვარებინეთ, როცა გაუთხოვარი იყავით.

ლიზა. მეუბნება, მაშინაც მიყვარდი, მაგრამ მეგობრის ბედნიერებას ხელი არ შევეშალეო.

ანა დმიტრის ასული. აჰ, რა მძიმეა ეს ყოველივე. მაგრამ მაინც გვიყვარდეს ერთმანეთი და ღმერთი გვიშველის, მოგვადებინებს იმას, რაცა გვსურს.

### გამოსვლა მაცხრა

იგინივე და კარენინი.

კარენინი (შემოდის). დედა, ძვირფასო. მე ყველაფერი მესმოდა. ამას ველოდი: შეგიყვარდათ ლიზა. ჰოდა, ყველაფერი კარგად იქნება.

ლიზა. როგორ მწყინს, რომ ყველაფერი გაიგონეთ, — არ ვიტყვოდი...

ანა დმიტრის ასული. მაინც არაფერი არ არის გადაწყვეტილი. ერთის თქმა შემძლია: ეს მძიმე გარემოებანი რომ არა, მოხარული ვიქნებოდი. (ჰკოცნის ლიზას).

კარენინი. ოღონდ გთხოვთ, ნუ შეიცვლებით.

ფარდა

### მეორე სურათი

სადად მოწყობილი ბინა. საწოლი, საწერი მაგიდა, ღივანი.

### გამოსვლა პირველი

ფედია, მარტო.

კარზე ვილაც აკაკუნებს. ისმის ქალის ხმა: „რას ჩაკეტობხარ, ფიოდორ ვასილიევიჩ? ფედია, გააღე“.

### გამოსვლა მეორე

ფედია და მაშა.

ფედია (დგება, კარს აღებს).

შემოდის მაშა.

გმადლობ, რომ მოხვედი. მოწყენილობაა, საშინელი მოწყენილობაა.

მაშა. ჩვენთან რად არ მოხვედი? ისევ სვამ? ეჰ, არადა დამპირდი. ფედია. აკი იცი, ფული არა მაქვს.

მაშა. შენს შეყვარებას რა მრჯილა?

ფედია. მაშა!

მაშა. რა დაგიჩემებია — მაშა და მაშა. რომ გყვარებოდი, ცოლს კარგა ხანია გაეყრებოდი. იქაც გიკითხეს. ამბობ, არ მიყვარსო, არადა, არ ეშვები. ეტყობა, არ ვინდა.

ფედია. აკი იცი, რატომაც არ მინდა.

მაშა. ყველაფერი ტყუილია. მართალს ამბობენ შენზე, გატყუვბსო.

ფედია. აბა რა გელაპარაკო? რომ გითხრა, გულს მტკენს, რასაც მეუბნები-მეთქი, ეს ისედაც იცი.

მაშა. არაფერიც არა გტკენს...

ფედია. თვითონაც იცი, ერთადერთი ჩემი სიხარული ცხოვრებაში შენი სიყვარულია.

მაშა. ჩემი სიყვარული ჰო, მაგრამ შენი საღდაა.

ფედია. ჩიჩინს არ დაგიწყებ. არც არის საჭირო — ისედაც იცი.

მაშა. ფედია, რატომ მაწვალებ?

ფედია. ვინ ვის აწვალებს.

მაშა (ტირის). ბოროტი ხარ.

ფედია (მიდის და მოეხვევა). მაშა! რა მოგივიდა? გაჩუმდი. ცხოვრება საჭირო და არა ფლიქვინი. შენ მაინც არ შეგშენის. ჩემო ტურფაე!

მაშა. გიყვარვარ?

ფედია. მაშ, ვინ უნდა მიყვარდეს?

მაშა. მარტო მე? აბა, წამიკითხე, რა დაგიწერია.

ფედია. მოგეწყენება.

მაშა. შენი დაწერილი არ მომეწყენება, კარგი იქნება.

ფედია. მაშ, მისმინე. (კითხულობს). „გვიან შემოდგომაზე მე და ამხანაგმა მურიგინის ბაქანზე გადასვლა დავთქვეთ. ეს ბაქანი ერთი მაგარი კუნძული იყო, მკვიდედაკბილული. ბნელი, თბილი, წყნარი დღე იყო. ბურუსი...“

### გამოსვლა მესამე

ფედია და მაშა. კარში შემოდის მოხუცი ბოშა ივან მაკარის ძე და მოხუცი ბოშა ქალი ნასტასია ივანის ასული — მათას მშობლები.

ნასტასია ივანის ასული (ქალიშვილს მიადგება). აჰ არის ეს წყეული, რეტიანი ცხვარი. ბატონს სალაში. (ქალიშვილს). რას გვიშვრები? ჰა?



ივან მაკარის ძე (ფედია). ცუდს შვრები, ბატონო. გოგოს ლუპავ. ოჰ, ცუდს შვრები, სიბილწეა ეგა.

ნასტასია ივანის ასული. დაიხურე თავსაფარი და გაჭკრი ახლავე აქედან. დახეთ, გამოიქცა. გუნდს რაღა ვუთხრა? დაყი- ლობ ამ ლატაკთან. ამისგან რა უნდა აიღო?

მაშა. სულაც არ დავყილობ. მიყვარს ბატონი, მეტი არაფერი. გუნ- დი არ მიმიტოვებია, ვიმღერებ კვლავაც, ეს კი...

ივან მაკარის ძე. დააყენე ენა, თორემ დაგაგლეჯ მაგ თმას. შე თავკერძა, შენა. ასე ვის უქნია? არც მამაშენს, არც დედა- შენს, არც დეიდაშენს. ცუდია ეგ, ბატონო. გვიყვარდი, რამდენ- ჯერ მუქთად გვიმღერია, გვეცოდებოდი. შენ კი რა გაგვიკეთე.

ნასტასია ივანის ასული. არაფრის გულისთვის დავგიღუბე გოგო, ჩვენი ღვიძლი, ჩვენი ერთადერთი, ჩვენი თვალისჩინი, ბრილიანტი ფასდაუღებელი, ნეხვში ჩაგვიჯიგე, აი, რა ჰქენი. ღმერთი არა გწამს.

ფედია. ტყუილად ფიქრობ ამას ჩემზე, ნასტასია ივანოვნა. დასა- ვითა მყავს შენი გოგო. ვუფრთხილდები მის პატიოსნებას. გულ- შიაც ნუ გაივლებ. მიყვარს მაშა. რა ვქნა.

ივან მაკარის ძე. როცა ფული გქონდათ, მაშინ არ გიყვარ- დათ. გადაიხდიდი გუნდში ათი ათასს და წაიყვანდი, როგორც წესი და რიგია. ახლა ყველაფერი გაფლანგე და მოპარვით წა- მოიყვანე. სირცხვილია, ბატონო, სირცხვილია.

მაშა. ამას არ წამოგუყვანივარ. მე თვითონ მოვაკითხე, ნახავთ, აწი კვლავაც თუ არ მოვიდე. მიყვარს და მორჩა. ყველა თქვენს სა- კეტზე ძლიერია ჩემი სიყვარული... არ მინდა.

ნასტასია ივანის ასული. აბა, მაშენკა, საყვარელო, ნუ წიკვინებ. ცუდად მოიქეცი, ჰოდა, წავიდეთ ახლა.

ივან მაკარის ძე. რაღას ალაპარაკებ. მოუსვი! (ხელზე ხელს ჰკიდებს). მაპატიეთ, ბატონო.

სამივენი მიდიან.

### გამოსვლა მითხა

ფედია. შემოდის თავადი აბრეჯკოვი.

თავადი აბრეჯკოვი. უკაცრავად ვარ, ჩემდა უნებურად უსი- ამონვო სცენის მოწმე გავხდი.

ფედია. ვისთან მაქვს პატივი?... (იცნობს). აჰ, თავადი სერგეი დმიტ- რიევიჩი. (ესალმება).

თავადი აბრეჯკოვი. უსიამოვნო სცენის უნებური მოწმე. ვი- სურვებდი, არ მომესმინა. მაგრამ, რაკი მოვისმინე, მოვალეობად

ვთელი ვაღიარო, რომ მოვისმინე. მე აქ გამომგზავნეს და კარ- თან უნდა დავლოდებოდი ამ ბატონების გამოსვლას. მით უმე- ტეს, რომ კარზე ჩემი კაკუნნი არ ისმოდა ერთობ ძლიერი ხმე- ბის გამო.

ფედია. დიახ, დიახ. უმორჩილესად გთხოვთ. მადლობელი ვარ, ეს რომ მითხარით. ეს უფლებას მაძლევს ავიხსნათ სხენებული სცე- ნა. ჩემთვის სულ ერთია, რას იფიქრებთ ჩემზე. მაგრამ მინდა გითხრათ, რომ უსამართლოა საყვედურები, თქვენ რომ მოის- მინეთ ამ ბოშა ქალიშვილზე, მომღერალზე. ეს ქალიშვილი ზნე-ობრივად ისე წმინდაა, როგორც მტრედი. მისდამი ჩემი დამო- კიდებულებაც მეგობრულია. თუკი, ვთქვათ, პოეტურობის ელ- ფერი აძევს ამ დამოკიდებულებას, ეს მაინც არ ლახავს სიწმინ- დეს — ამ ქალიშვილის პატიოსნებას. აი, ეს მინდოდა მეთქვა. ასე რომ, რა გნებაეთ? რით შემოძლია გემსახუროთ?

თავადი აბრეჯკოვი. მე, ჯერ ერთი...

ფედია. მაპატიეთ, თავადო. ახლა ისეთი მდგომარეობა მაქვს სა- ზოგადობაში, რომ თქვენთან მცირე და შორეული ნაცნობობა არ მაძლევს თქვენი მობრძანების უფლებას, თუკი თქვენ არ გექნებათ ჩემთან საქმე — რა საქმეა?

თავადი აბრეჯკოვი. არ უარვეყოფ, მართლა გამოიცანით. საქ- მე მაქვს. მაგრამ მაინც გთხოვთ ირწმუნოთ, რომ თქვენი მდგო- მარეობის შეცვლა გავლენას ვერ მოახდენს თქვენდამი ჩემს დამოკიდებულებაზე.

ფედია. სავსებით მჯერა.

თავადი აბრეჯკოვი. ჩემი საქმე ისაა, რომ ჩემი ძველი მეგო- ბრის, ანა დმიტრიევნა კარენინას ვაჟმა და თვითონ ანა დმიტ- რიევნამ მთხოვეს უშუალოდ, პირდაპირ თქვენგან შემეტყო თქვენს ურთიერთობებზე... ნებას მომცემთ ვილაპარაკო თქვენს მეუღლესთან, ლიზავეტა ანდრეევნა პროტასოვისთან თქვენს ურთიერთობებზე?

ფედია. ჩემი ურთიერთობები ჩემს მეუღლესთან — შემოძლია ვთქვა: ჩემს ყოფილ მეუღლესთან — სავსებით შეწყვეტილია.

თავადი აბრეჯკოვი. ასედაც ვიცოდი. ამიტომაც ვიკისრე ეს ძნელი მისია.

ფედია. ვიჩქარი განვაცხადო, რომ შეწყვეტილია მისი კი არა, ჩემი ბრალის, უფრო სწორად — ჩემი უამრავი ბრალის გამო. იგი კი ისევე დარჩა ყველაზე უფრო უმწიკვლო მანდილოსნად, რო- გორც იყო.

თავადი აბრეჯკოვი. ჰოდა, ვიქტორ კარენინმა, განსაკუთრე-

ბით დედამისმა მთხოვეს გამეგო თქვენგან თქვენი განზრახვების შესახებ.

ფედიკა (ცხარედ). რა განზრახვებო? არავითარი. სრულ თავისუფლებას ვანიჭებ. უფრო მეტიც, არასოდეს დავარღვევ მის სიმშვიდეს. ვიცი, რომ ვიქტორ კარენინი უყვარს. დაე, უყვარდეს. მე მას ერთობ მოსაწყენ, მაგრამ ძალიან კარგ, პატიოსან ადამიანად ვთვლი და ვფიქრობ, რომ ღიზა მასთან (როგორც ჩვეულებრივ იტყვიან ხოლმე) ბედნიერი იქნება. და que le bon dieu les bénisse.<sup>1</sup> ეს არის და ეს.

თავადი აბრეჯკოვი. ჰო, მაგრამ ჩვენ...

ფედიკა (აწყვეტივნებს). და ნუ იფიქრებთ, ცოტათი მაინც ექვიანობის გრძნობა მქონდეს. თუკი ვთქვი ვიქტორზე, მოსაწყენიან-მეთქი, უკანვე მიმაქვს ეს სიტყვა. მშვენიერი, პატიოსანი, წესიერი კაცია, თითქმის ჩემი საპირისპირო. თანაც, ბავშვობიდანვე უყვარს ღიზა. იქნებ ქალსაც უყვარდა მაშინ, როცა მე გამომყვავ. ხდება ასეთი რამ. ყველაზე კარგი სიყვარული ისეთია, სულ რომ არ იცი ხოლმე. მე მგონი, ღიზას მუდამ ვიქტორი უყვარდა. მაგრამ, როგორც პატიოსანი ქალი, საკუთარ თავსაც კი არ უტყუდებოდა ამაში, მაგრამ ეს რაღაცნაირი ჩრდილი მაინც აწვა ჩვენს ოჯახურ ცხოვრებას... თუმცა, ლამის აღსარებას გეუბნებით.

თავადი აბრეჯკოვი. თქვით, გთხოვთ. მერწმუნეთ, ჩემთვის ჩემს მისიაზე უფრო მნიშვნელოვანია თქვენდამი ჩემი განსაზღვრული ადამიანური დამოკიდებულება, ჩემი სურვილი ამ დამოკიდებულებების სრული შეცნობისა. მესმის თქვენი. მესმის, რომ ეს ჩრდილი, როგორც თქვენ მშვენიერად გამოთქვით, შეიძლება იყო...

ფედიკა. იყო კიდევ და, იქნებ, ამის გამო არ შემეძლო იმ ოჯახური ცხოვრებით დაკმაყოფილება, რომელსაც ცოლი მიქმნიდა. ამიტომაც რაღაცას ვეძებდი, ვერთობოდი. თუმცა, თითქოს თავს ვიმართლებ. არ მსურს და არც შეიძლება ჩემთვის თავის მართლება. ვიყავი, თამამად ვამბობ — ვიყავი ცული ქმარი, ვიყავი-მეთქი, რადგან უკვე ჩემს შეგნებაში კარგა ხანია ქმარი არა ვარ და ღიზასაც სრულიად თავისუფალ ქალად ვთვლი. მაშასადამე, თქვენი მისიის პასუხიც ეს არის.

თავადი აბრეჯკოვი. დიახ, მაგრამ აკი იცით ვიქტორის ოჯახი და მასაც იცნობთ. ღიზავეტა ანდრეევნასადმი მისი დამოკიდებულება მუდამ უკიდურესად მოკრძალებული და შორი-შორითი იყო. ეხმარებოდა ხოლმე, როცა ქალს უნდოდა.

ფედიკა. ჰო, ჩემი თავაშვებულობით ხელი შევუწყე მათ დაახლოებას. რა გაეწყობა, ასეც უნდა მომხდარიყო.

თავადი აბრეჯკოვი. მისი და მისი ოჯახი მკაცრი მართლმადიდებლური შეხედულებებით მოგეხსენებათ. მე არ ვიზიარებ ამ შეხედულებებს. უფრო ფართოდ ვუყურებ სავნებს. მაგრამ პატივს ვცემ მათ და მესმის მათი. გასაგებია, რომ მისთვის და, განსაკუთრებით, დედამისისათვის წარმოუდგენელია საეკლესიო ჯვრისწერის გარეშე ქალთან დაახლოება.

ფედიკა. დიახ, ვიცი მისი ბრძოლა... სწორხაზოვნება, კონსერვატიზმი ამ მხრივ. მაგრამ რა უნდათ? გაყრა? რა ხანია ვუთხარი მათ, რომ მზადა ვარ ამისთვის, მაგრამ დანაშაულის საკუთრივ დაკისრების პირობები, ამასთან დაკავშირებული მთელი სიცრუე ერთობ მიძიმეა.

თავადი აბრეჯკოვი. სავსებით მესმის თქვენი და ვიზიარებ თქვენს წუხილს. მაგრამ რა უნდა ვქნათ? მე მგონი, შეიძლება ასე მოეწყოს. თუმცა, მართალი ხართ. ეს საშინლად ძნელია, მესმის თქვენი.

ფედიკა (ხელს ხელზე უჭერს). გმადლობთ, ძვირფასო თავადო. მუდამ პატიოსან, კეთილ ადამიანად გიცნობდით. მაგრამ მითხარით, რა ვქნა? რა გავაკეთო? შედით ჩემს მდგომარეობაში. არ ვცდილობ, უკეთესი ვიყო-მეთქი. არამზადა ვარ. მაგრამ არის ზოგი რამ, რასაც მშვიდად ვერ ვაკეთებ, არ შემიძლია მშვიდად ვიც-რუო.

თავადი აბრეჯკოვი. თქვენიც ვერ გამიგია. ასეთი ნიჭიერი, ჭკვიანი კაცი ხართ, სიკეთისადმი ახე გრძნობიერი, და როგორ შეგიძლიათ ასე აპყვეთ თავს, დაივიწყოთ ის, რასაც თვითვე ითხოვთ საკუთარი თავისაგან? როგორ მოდით აქამდე, როგორ დალუპეთ თქვენი ცხოვრება?

ფედიკა (ძლივს იკავებს მღელვარების ცრემლებს). აი, უკვე ათი წელია, ამ ჩემი აბნეული ცხოვრებით ვცხოვრობ. და პირველად შევებრალე ისეთ ადამიანს, როგორიც თქვენ ბრძანდებით. მიბრალებენ ამხანაგები, თანამეინახენი, ქალები, მაგრამ თქვენისთანა გონიერმა, კეთილმა ადამიანმა... გმადლობთ. როგორ მივედი ამ დალუპებამდე? ჯერ ერთი, სასმელი. მოგეხსენებათ, სასმელი მართლ სიამოვნება არ არის. არადა, რასაც უნდა ვაკეთებდე, მუდამ ვგრძნობ, რომ ეს ის არ არის, რაც საჭიროა, და მრცხვენია ხოლმე. აი, ახლა თქვენ გელაპარაკებით და მრცხვენია. არადა, ხომ შეიძლება თავდაზნაურობის წინამძღოლი იყო კაცი, ბანკში იჯდე — რა სირცხვილია, რა სირცხვილია... და მხოლოდ როცა დაღევ, უკვე ქრება სირცხვილი. აქეთ მუსიკა,

<sup>1</sup> დაე, ღმერთმა აკურთხოს ისინი (ფრანგ.).

ოპერები და ბეთჰოვენი კი არა, ბოშები... ეს ისეთი ცხოვრებაა, ენერგიით აღავსებს კაცს. აქეთ კიდევ საყვარელი შავი თვალები და ღიმილი. და რაც უფრო წარმტაცია ეს ყოველივე, შემდეგ მით უფრო მძაფრდება სირცხვილი.

აბრეჯოვი. შრომაზე რას იტყვი?

ფედია. ვცადე. ყველაფერი ცუდია. ყველაფრით უკმაყოფილო ვარ. თუმცა, საკუთარ თავზე რას ვლაპარაკობ. გმადლობთ.

თავადი აბრეჯოვი. ესე იგი, მათ რა ვუთხრა?

ფედია. უთხარით, რომ გავაკეთებ, რაცა სურთ. იმათ ხომ დაქორწინება უნდათ, — დაქორწინებაში არაფერმა რომ არ შეუშალოთ ხელი, არა?

თავადი აბრეჯოვი. რასაკვირველია.

ფედია. გვაკეთებ. უთხარით, რომ აუცილებლად გვაკეთებ.

თავადი აბრეჯოვი. როდის?

ფედია. დაიცათ. ვთქვით, ორ კვირაში. საკმარისია?

თავადი აბრეჯოვი (დგება). შემოძლია ასე ვუთხრა?

ფედია. შეგიძლიათ. მშვიდობით, თავადო, კიდევ ერთხელ გმადლობთ.

თავადი აბრეჯოვი მიდის.

**გამოსვლა მესამე**

ფედია, მარტო.

ფედია (ზის დიდხანს, უსიტყვოდ, იღიმება). კარგია. ძალიან კარგია. ასეც უნდა. ასეც უნდა. ასეც უნდა. ჩინებულა.

ფარდა

**მეორე მოქმედება**

**პირველი სურათი**

სამიკიტნო. ცალკე კაბინეტი. ხელზე მოსამსახურეს შემოჰყავს ფედია და ივან პეტრეს ძე ალექსანდროვი.

**გამოსვლა პირველი**

ფედია, ივან პეტრეს ძე და ხელზე მოსამსახურე.

ხელზე მოსამსახურე. აქეთ მობრძანდით. აქ არავინ შეგაწუხებთ, ქაღალდს კი ახლავე მოგართმევთ.

ივან პეტრეს ძე. პროტასოვი! მეც შემოვალ.

ფედია (სერიოზულია). კარგი, შემოდი, მაგრამ საქმე მაქვს და... თუ გინდა — შემოდი.

ივან პეტრეს ძე. იმათ პირობებს უნდა უპასუხო? მე გეტყვი, როგორც უპასუხო. მე ასე არ ვიზამდი. მუდამ პირდაპირ ვლაპარაკობ და მტკიცედ ვმოქმედობ ხოლმე.

ფედია (ხელზე მოსამსახურეს). ერთი ბოთლი შამპანური.

ხელზე მოსამსახურე გადის.

**გამოსვლა მეორე**

ფედია და ივან პეტრეს ძე.

ფედია. (რევოლვერს იღებს და დებს). ცოტა დაიცა.

ივან პეტრეს ძე. რა? თავის მოკვლა დაგიპირებია. შეიძლება, შეიძლება. მესმის შენი. იმათ შენი დამცირება უნდათ. შენ კი უჩვენებ, ვინცა ხარ. თავს მოიკლავ რევოლვერით, იმათ კი დიდსულოვნებით მოკლავ. მესმის შენი. ყველაფერი მესმის, რადგან გენიოსი გახლავარ.

ფედია. ვიცი, ვიცი. ოღონდ...

შემოდის ხელზე მოსამსახურე, ქაღალდი და სამელნე შემოაქვს.

**გამოსვლა მესამე**

იგინივე და ხელზე მოსამსახურე.

ფედია (პისტოლეტს ხელსახოცს აფარებს). გახსენი. მოდი, დავლიოთ, (სვამენ. ფედია წერს). ცოტა დაიცადე.

ივან პეტრეს ძე. შენი... დიდი მოგზაურობის სადღეგრძელო იყოს. მე ხომ ამაზე მალლა ვდგავარ. აღარ დაგაკავებ. გენიოსისათვის სულ ერთია სიცოცხლეცა და სიკვდილიც. მე სიცოცხლეში ვკვდები და სიკვდილში ვცოცხლობ. შენ თავს მოიკლავ, რათა იმათ, იმ ორ ადამიანს შეებრალო. მე კი — მე თავს იმისათვის მოვიკლავ, რომ მთელმა ქვეყანამ გაიგოს, თუ რა დაკარგა. არც ფიქრსა და ჭოჭმანს დავიწყებ. ავიღე (ხელს ავლებს რევოლვერს) — ერთი, და მორჩა. მაგრამ ჯერ აღრეა. (ისევ დებს რევოლვერს). არც დასაწერი მაქვს რამე, თვითონ უნდა გაიგონ... აჰ, თქვე...

ფედია (წერს). დაიცა ცოტათი.

15. ლ. ტოლსტოი

ივან პეტრეს ძე. საბრალო ხალხი. ფუთფუთებენ, ჩალიჩობენ. და არაფერი, არაფერი არ გაეგებათ... შენ არ გეუბნები. ისე, ჩემს აზრებს გამოვთქვამ. არადა, რა სჭირდება კაცობრიობას? ძალიან ცოტა რამ: თავისი გენიოსების დაფასება, ისინი კი მუდამ სიკვდილით სჯიდნენ მათ, დევნიდნენ, აწამებდნენ. არა. არ გავხდები თქვენი სათამაშო. ყველას სააშკარაოზე გამოგიყვანთ. ა-ა-რა-ა. თქვე ფარისევლებო, თქვენა!

ფე დ ი ა (მორჩა წერას, ლვინოს სვამს და კითხულობს ნაწერს). წა-ლი, გთხოვ.

ივან პეტრეს ძე. წავიდე? მაშ, მშვიდობით. არ დაგაკავებ. მეც ამასვე ვიზამ. მაგრამ ჯერ აღრეა. ოღონდ მინდა ვითხრა...

ფე დ ი ა. კარგი. იტყვი, მაგრამ შემდეგ, ახლა კი აი რა, ძმაო: მიეცი ეს, გეთაყვა, პატრონს (ფულს აწვდის) და ჰკითხე, წერილი და ამანათი თუ არის ჩემს სახელზე. გთხოვ.

ივან პეტრეს ძე. კარგი. ხომ დამიციდი? ერთ მნიშვნელოვან რაღაცასაც გეტყვი. ისეთს, როგორსაც მარტო ამქვეყნად კი არა, მომავალშიც ვერ გაიგონებ, ყოველ შემთხვევაში მანამ, სანამ მე მოვიდოდე მანდ. სულ მიეცე?

ფე დ ი ა. რამდენიც საჭიროა.

ივან პეტრეს ძე გადის.

### გამოსვლა მეოთხე

ფე დ ი ა, მარტო.

ფე დ ი ა (შეგებით ამოისუნთქავს, ივან პეტრეს ძის გასვლისთანავე კეტავს კარს, რევოლვერს იღებს, ჩახმახს აყენებს, იღებს ლულას საფეთქელზე, შეკრთება და ფრთხილად ძირს დაუშვებს იარაღს. (ღმუის). არა, არ შემიძლია, არ შემიძლია, არ შემიძლია.

კარზე ვილაც აკაკუნებს.

ვინ არის მანდ?

კარს მიღმა ისმის მაშას ხმა: „მე“.

ვინ მეო? აჰ, მაშა... (კარს აღებს).

### გამოსვლა მეხუთე

ფე დ ი ა და მაშა.

მაშა. ვიყავი შენთან, პოპოვთან, აფრემოვთან და მივხვდი, აქ იქნებოდი. (რევოლვერს დაინახავს). კარგია, ვერაფერს იტყვი. აი, სულელი. ნამდვილი სულელი. ნუთუ მართლა?..

ფე დ ი ა. არა, ვერ შევძელი.

მაშა. მე კი რა, არსად ვწერივარ? უღმერთო. მე სულ არ შემიცოდა. აჰ, ფიოდორ ვასილიევიჩ, რა უბედურებაა. ჩემი სიყვარულის სანაცვლოდ...

ფე დ ი ა. იმათი განთავისუფლება მინდოდა, პირობა მივეცი. ტყუილი კი არ შემიძლია.

მაშა. მე რედა, მე?

ფე დ ი ა. შენ რა? შენც ხელ-ფეხს გაგიხსნიდი. განა შენთვის უკეთესია, ჩემთან რომ წვალბო?

მაშა. უკეთესია, ალბათ. არ შემიძლია უშენოდ ცხოვრება.

ფე დ ი ა. რაღა ცხოვრება ჰქვია ჩემთან ცხოვრებას? იტირებდი ერთხანს და გამოივლოვებდი.

მაშა. სულაც არ ვიტირებდი, ჯანდაბას შენი თავი. რაკი სულ არ გეცოდები. (ტირის).

ფე დ ი ა. მაშა! მეგობარო! მე ხომ ის უნდა მექნა, რაც უკეთესია.

მაშა. შენთვის — უკეთესი.

ფე დ ი ა (ღმილით). ჩემთვის რაღა უკეთესი იქნებოდა, თუკი თავს მოვიკლავდი?

მაშა. რასაკვირველია, უკეთესი იქნებოდა. კი მაგრამ, რა გინდა? მითხარი.

ფე დ ი ა. როგორ თუ რა მინდა? ბევრი რამ მინდა.

მაშა. აბა, რა? რა?

ფე დ ი ა. ჯერ ერთი, პირობა უნდა შევასრულო. ეს ერთი, და ესეც საკმარისია. არ შემიძლია ვიცრუო და ეს სიბილწე ვქნა, განქორწინებისთვის რაც საჭიროა.

მაშა. ვთქვათ და, სიბილწეა. მე თვითონ...

ფე დ ი ა. მერე კიდევ, უნდა გავათავისუფლო ორივე, ცოლიც და ისიც. აბა როგორ, კარგი ადამიანები არიან. რატომ უნდა გავტანჯო? ეს ორი.

მაშა. რა კარგი ადამიანი ის არი, თუკი მივატოვა.

ფე დ ი ა. იმას არ მივუტოვებდევარ — მე მივატოვე.

მაშა. კარგი, კარგი. ყველაფერი შენ ჰქენი. ის კი ანგელოზია. კიდევ რა?

ფე დ ი ა. კიდევ ის, რომ კარგი, საყვარელი გოგო ხარ — მიყვარხარ და თუკი ამქვეყნად დავრჩები, დაგლუპავ.

მაშა. ეს უკვე არ არის შენი საქმე. თვითონვე ვიცი, სადაც დავილუპები...

ფე დ ი ა (ამოიოხრებს). ხოლო უმთავრესი, უმთავრესი... რაღა ჩემი სიცოცხლე? განა ვერ ვხედავ, რომ დაღუპული ვარ, აღარაფრად ვარგივარ. საკუთარ თავსაც და სხვებსაც ტვირთად ვაწვები, როგორც მამაშენმა თქვა. უვარგისი კაცი ვარ...

მ ა შ ა. სისულელეს ამბობ. მე შენ არ მოგცილდები. მოგეწებე და  
მორჩა. ისაო, ცულად ვცხოვრობ, ვსვამ და ვღრეობო... ცოცხა-  
ხალი აღამიანი ხარ — მოეშვი, თავი გაანებე. მორჩა და გათავდა.

ფ ე დ ი ა. აღვილი სათქმელია.

მ ა შ ა. ასე ჰქენი.

ფ ე დ ი ა. აგერ, შენ რომ გიყურებ, მგონია, ყველაფერს ვიზამ-მეთქი.  
მ ა შ ა იზამ კიდევ. ყველაფერს იზამ. (ხედავს წერილს). ეს რაღაა?  
იმათ სწერდი? რას სწერდი?

ფ ე დ ი ა. რას ვწერდი? (იღებს წერილს, უნდა დახიოს). უკვე აღარ  
არის საჭირო.

მ ა შ ა (წერილს გამოგლეჯს). წერდი, თავს ვიკლავო, არა? რევოლვე-  
რის ამბავი ხომ არ ჩაგიწერია? თავს ვიკლავო, არა?

ფ ე დ ი ა. ჰო, ცოცხალი აღარ ვიქნები-მეთქი.

მ ა შ ა. შენ იცი, მიდი, მიდი. „რა ვაკეთოთ“ თუ წავიკითხავს?

ფ ე დ ი ა. მგონი, წავიკითხე.

მ ა შ ა. მოსაწყენი რომანია, მაგრამ ერთი რამ ძალიან, ძალიან კარგია.  
აი ისა, რა ჰქვია, რანმანოვი, ადგა და ისე ჰქნა, ვითომ წყალში  
დაიხრჩო. შენც ხომ ცურვა არ იცი?

ფ ე დ ი ა. არა.

მ ა შ ა. ხომ გითხარი. მომე შენი ტანისამოსი. ყველაფერი, საფულეც.

ფ ე დ ი ა. კი მაგრამ, როგორ?

მ ა შ ა. გაჩუმდი, გაჩუმდი. შინ წავიდეთ. იქ გადაიცვამ.

ფ ე დ ი ა. მაგრამ ეს ხომ მოტყუებაა.

მ ა შ ა. ძალიანაც კარგი. საბანაოდ წახვედი, ტანსაცმელი ნაპირზე  
დატოვე. ჯიბეში საფულე გაქვს და ეს წერილი.

ფ ე დ ი ა. კარგი, მერე?

მ ა შ ა. მერე კი, მერე წავიდეთ და ვიცხოვროთ ჩვენს ჰუაზე.

### გამოსვლა მემკვსა

ი გ ი ნ ი ვ ე, შემოდის ი ვ ა ნ პ ე ტ რ ე ს ძ ე.

ი ვ ა ნ პ ე ტ რ ე ს ძ ე. ვრიპა. რევოლვერი სადღა? მე წავიდებ.  
მ ა შ ა. წაიღე, წაიღე. ჩვენ კი მივდივართ.

ფ ა რ ლ ა.

### მ ე ო რ ე ს უ რ ა თ ი

სასტუმრო პროტასოვას სახლში.

### გამოსვლა პირველი

კ ა რ ე ნ ი ნ ი და ლ ი ზ ა.

კ ა რ ე ნ ი ნ ი. ისე გარკვევით დაგვბირდა, მჯერა აღთქმას არ გადავა-  
ლ ი ზ ა. მეუხერხულება, მაგრამ უნდა ვთქვა: რაც ამ ბოშა ქალის ამ-  
ბავი გავიგე, სულ გავთავისუფლდი. არ იფიქრო, თითქოს ვიქ-  
ვიანე. ეს ექვიანობა კი არა, იცი, განთავისუფლებაა. როგორ  
გითხრათ...

კ ა რ ე ნ ი ნ ი. ისევე: გ ი თ ხ რ ა თ.

ლ ი ზ ა (ღიმილით). გითხრა. ნუ მიშლით ხელს, ნუ მიშლი, მინდა  
ვთქვა, რასაც განვიცდი. მთავარი, რომ მაწამებდა, ის იყო, რომ  
ვგრძნობდი — ორი მიყვარდა. ეს კი ნიშნავს, რომ უზნეო ქა-  
ლი ვარ.

კ ა რ ე ნ ი ნ ი. შენ და უზნეო ქალი?

ლ ი ზ ა. მაგრამ მას შემდეგ, რაც გავიგე — სხვა ქალი ჰყავს და, აღ-  
ბათ, მე აღარ ვვირდები, გავთავისუფლდი და ვიგრძენი, რომ  
უკვე შემძლია არ ვიცრუო და გითხრათ: მიყვარხართ, მიყვარ-  
ხარ. უკვე შუქი ჩამიდგა გულში, მხოლოდ ესაა, ჩემი მდგომა-  
რეობა მაწამებს. ეს განქორწინება. წამებაა ეს ყველაფერი. ეს  
მოლოდინი.

კ ა რ ე ნ ი ნ ი. ახლავე, ახლავე გადაწყდება ყველაფერი. დაპირებით  
ხომ დაგვბირდა, მდივანსაც ვუთხარი, თხოვნა მიუტანე და ფეხი  
არ მოიცვალა, ვიდრე ხელს მოაწერს-მეთქი. ისე კარგად  
რომ არ ვიცნობდე, როგორაც ვიცნობ, ვიფიქრებდი, განგებ აკე-  
თებს ამას-მეთქი.

ლ ი ზ ა. იგი? არა, კვლავ მისი სისუსტისა და პატიოსნების ამბავია.

ტყუილის თქმა არ უნდა. ეს კია, ფული არ უნდა გაგეგზავნა.

კ ა რ ე ნ ი ნ ი. როგორ შეიძლებოდა. იქნებ, ეს დაბრკოლების მიზეზი  
გამხდარიყო.

ლ ი ზ ა. არა, ფული რაღაც მაინც ვერაა კარგი.

კ ა რ ე ნ ი ნ ი. მისთვის არა მგონი, მაინცდამაინც pointilleux<sup>1</sup> იყოს.

ლ ი ზ ა. რა ეგოისტები ვხდებით.

<sup>1</sup> სათაკილო (ფრანგ.).

კარენინი. ჰო, ვნანობ. თვითონ შენი ბრალია. ამდენი მოლოდინის, ამდენი უიმედობის შემდეგ ახლა ასე ბედნიერი ვარ. ბედნიერება კი კაცს ეგოისტად აქცევს ხოლმე. შენი ბრალია.

ლიზა. შენ გგონია, მარტო შენა ხარ ეგრე. მეცა ვარ. ვგრძნობ, თითქოს სულ აღვივსე, თითქოს ბედნიერებაში ვბანაობ. ყველაფერი: მიკაც გამოკეთდა, დედაშენსაც უყვარვარ, შენც და, რაც მთავარია, მე, მე მიყვარხარ.

კარენინი. მართლა? და არც ნანობ? ძველი აღარ დაბრუნდება?

ლიზა. იმ დღის შემდეგ ყველაფერი შეიცვალა ჩემში.

კარენინი. და არც შეიძლება დაბრუნდეს?

ლიზა. აღარასოდეს. მხოლოდ ერთი რამ მინდა: შენს გულშიაც ისევე დამთავრდეს ყველაფერი, როგორც ჩემსაში დამთავრდა.

### გამოსვლა მეორე

იგინივე და ძიძა, ბავშვითურთ.

შემოდის ძიძა, ბიჭი ახლავს. ბიჭი დედასთან მიდის. ლიზა კალთაში ისვამს შვილს.

კარენინი. რა უბედური ხალხი ვართ.

ლიზა. რა იყო? (ბავშვს ჰკოცნის).

კარენინი. როცა შენ გათხოვდი და საზღვარგარეთიდან დაბრუნებულმა ეს გავიგე, და როცა მივხვდი, რომ დაგკარგე, უბედურად ვიგრძენი თავი. და გამიხარდა, როცა გავიგე, რომ კვლავ გახსოვდი. ესეც მყოფნიდა. მერე, როცა ჩვენს შორის მეგობრული ურთიერთობა დამყარდა და ვიგრძენი, ალერსიანად მეკიდებოდე, როცა ისიც ვიგრძენი, ჩვენს მეგობრობაში რაღაც დიდის, მეგობრობაზე მეტის პატარა ნაპერწკალი ღვიოდა, უკვე ლამის ბედნიერი გავხვდი. მხოლოდ იმის შიში მაწამებდა, ფედის მართ უპატიოსნო ვარ-მეთქი. მაგრამ ისიც სათქმელია: თავში ჩაბეჭდილი მქონდა მეგობრის მეუღლისადმი უწმინდესი მეგობრობის გარდა რაიმე სხვა ურთიერთობის შეუძლებლობა, — თანაც ხომ გიცნობდი, — ასე რომ, ეს არ მტანჯავდა, კმაყოფილიც კი ვიყავი. მერე, როცა ფედიამ წამება დაგიწყო და თავი შენს შემწედ მივიჩნიე, თან ისიც ვიგრძენი, რომ ჩემი მეგობრობა გაშინებდა, უკვე სულ ბედნიერი გავხვდი და გულში რაღაც ბუნდოვანი იმედი ჩამესახა. მერე... როცა იგი აუტანელი გახდა და განშორება გადაწყვიტე, როცა პირველად გითხარი ყველაფერი და არა თქვი — არა, მაგრამ თვალცრემლიანი გამცილდი, უკვე სავსებით ბედნიერი გავხვდი; ვინმეს რომ ეკითხა, კიდევ რა

გინდაო, მიუღებდი: არაფერი-მეთქი. მაგრამ შემდეგ გაჩნდა შესაძლებლობა — შენთან დამეკავშირებინა ჩემი ცხოვრება; maman-საც შეუყვარდი, ამ შესაძლებლობამ განხორციელება დაიწყო, შენც მითხარი, მიყვარდი და მიყვარხარო, მერე, როგორც ახლა, ისიც მითხარი, იგი უკვე არ არსებობს ჩემთვის, მხოლოდ შენი სიყვარული მაქვსო, — ამის მეტი კიდევ რაღა უნდა ვისურვო? მაგრამ არა, ახლა უკვე წარსული მაწამებს, მინდა, არ არსებობდეს ეს წარსული, არ იყოს არაფერი, რაც ფედის გაგვახსენებს.

ლიზა (საყვედურით). ვიქტორ!

კარენინი. ლიზა, მაპატიე! ყოველივე ამას იმიტომ ვამბობ, რომ არ მინდა შენზე რამეს ვფიქრობდე და დაგიმალო. ყველაფერი განგებ ეთქვი, რათა მეჩვენებინა, თუ რა სულელი ვარ და როგორ ვიცი, რომ ამის იქით გზა არ არის, რომ საკუთარ თავს უნდა ვებრძოლო და მოვერიო. მოვერიე კიდევ. მე მიყვარს იგი.

ლიზა. ასეც უნდა იყოს. მე ყველაფერი გავაკეთე, რაც შემეძლო, მე კი არა, ჩემს გულში აღსრულდა ყველაფერი, რასაც ისურვებდი: მასში ყველაფერი გაქრა, შენს გარდა.

კარენინი. ყველაფერი?

ლიზა. ყველაფერი, ყველაფერი. მაშინ ხომ არაფერს გეტყობი.

### გამოსვლა მესამე

იგინივე და ლაქია.

ლაქია. ბატონი ვოზნესენსკი.

კარენინი. ფედისგანაა, პასუხს მოიტანდა.

ლიზა (კარენინს). აქ მოიხმეთ.

კარენინი (დგება და კარისკენ მიდის). ესეც პასუხი.

ლიზა (ბავშვს ძიძას აძლევს). ნუთუ ყველაფერი გადაწყდება, ვიქტორ! (ჰკოცნის კარენინს).

### გამოსვლა მეოთხე

კარენინი, ლიზა. შემოდის ვოზნესენსკი.

კარენინი. აბა, რაო?

ვოზნესენსკი. არ იყო.

კარენინი. როგორ თუ არ იყო? არც თხოვნაზე მოუწერია ხელი? ვოზნესენსკი. თხოვნა არ არის ხელმოწერილი, მაგრამ წერილია დატოვებული თქვენსა და ლიზაზედა ანდრეევანს სახელზე. (ჩი-

ბიდან წერილს იღებს და კარენინს აძლევს). ბინაზე მივედი. მი-  
თხრეს, რესტორანშიათ. მივედი. მაშინ ფიოდორ ვასილიევიჩმა  
მითხრა, ერთი საათის შემდეგ გამოიარე და პასუხი დაგზავნე-  
ბაო. მივედი და აი...

კარენინი. ნუთუ ისევ გადავადება, რალაცის მომიზიზება? არა,  
ვერ არას კარგი საქმე. როგორ დაეცა.

ლიზა. წაიკითხე, რა არის?

კარენინი წერილს ხსნის.

ვოზნესენსკი. მე არა გპირდებით?

კარენინი. არა, კარგად იყავით, გმადლობთ... (ჩერდება, გაოცე-  
ბული კითხულობს წერილს).

ვოზნესენსკი გადის.

### გამოსვლა მესამე

კარენინი და ლიზა

ლიზა. რა არის? რა?

კარენინი. საშინელებაა.

ლიზა (ხელს სტაცებს წერილს). წაიკითხე.

კარენინი (კითხულობს). „ლიზა და ვიქტორ, ორივეს მოგმარ-  
თავთ. არ ვიცრუებ და არ გიწოდებთ — ჩემო კარგებო, ძვირ-  
ფასებო-მეთქი. ვერ დამიძღვეია სიმწრის, საყვედურის გრძნო-  
ბა, — ჩემივე თავის საყვედურისა, მაინც რომ მტკივნეულია,  
როცა თქვენზე, თქვენს სიყვარულზე, თქვენს ბედნიერებაზე ვფი-  
ქრობ. ყველაფერი ვიცი. ვიცი, რომ თუმცა ქმარი ვარ, მთელი  
რიგი შემთხვევითობების ძალით ხელი შეგიშალეთ. C'est moi  
qui suis lintrus.<sup>1</sup> და მაინც ვერ ვიკავებ თქვენდამი წყენასა და  
გულცივობას. თეორიულად ორივენი მიყვარხართ, განსაკუთრე-  
ბით ლიზა, ლიზანკა, მაგრამ სინამდვილეში ძალიან გამიცივდა  
გული. ვიცი, რომ მართალი არა ვარ, მაგრამ არ შემიძლია, ვე-  
ღარ შევიცვლები“.

ლიზა. ამას როგორ...

კარენინი (კითხვას განაგრძობს). „მაგრამ ახლა საქმეზე. სწორედ  
ეს გაორებული გრძნობა მაიძულებს სხვაგვარად შევასრულო  
თქვენი სურვილი და არა ისე, როგორც გსურდათ. მეზიზღება  
ტყუილი, უხამსი კომედიის თამაში, კონსისტორიაში ქრთამის  
ძღვევა, ველარ ავიტან მთელ ამ სიბილწეს. რა ბილწიც უნდა ვი-

ყო, სხვა მხრივ ვარ ბილწი, ამ სისაძაგლეში კი წილს ვერ დავი-  
დებ. უბრალოდ, არ შემიძლია. მეორე გზა, რომელსაც და-  
ვადექი, ყველაზე უფრო უბრალოა: თქვენ უნდა დაქორწინდეთ,  
რათა ბედნიერები იყოთ. ამას მე ვუშლი ხელს, მაშასადამე უნდა  
გაქვრე...“

ლიზა (ხელზე ეჭიდება კარენინს). ვიქტორ!

კარენინი (კითხულობს). „უნდა გაქვრე. და ვქრები. როცა ამ წე-  
რილს მიიღებთ. ცოცხალი აღარ ვიქნები.“

P. S. ერთობ ვწუხვარ, განქორწინების საქმისათვის ფული რომ  
გამომიგზავნეთ. არასასიამოვნო ამბავია, თქვენ არ შეგფერით.  
აბა, რა გაეწყობა. მე რამდენჯერ შეგმცდარვარ. ერთხელ შეიძ-  
ლება თქვენც შეცდეთ. ფულს გიბრუნებთ. ჩემი აღსასრული  
უფრო მოკლე, იაფი და უტყუარია. ერთსა გთხოვთ: ნუ გამიბ-  
რახდებით და კეთილი გულით მომიგონეთ. კიდევ, აქ ერთი მე-  
საათეა, ევგენიევი, ხომ ვერ დაეხმარებით და მოაწყობთ სადმე?  
სუსტი, მაგრამ კარგი კაცია. მშვიდობით. ფედია“.

ლიზა. თავი მოიკლა. მართალია?

კარენინი (ზარს რეკავს, წინკარში გარბის). დააბრუნეთ ბატონი  
ვოზნესენსკი!

ლიზა. ვიცოდი, ვიცოდი. ფედია, ჩემი კარგი ფედია.

კარენინი. ლიზა!

ლიზა. ტყუილია, ტყუილია, რომ არ მიყვარდა და არ მიყვარს. მარ-  
ტო ის მიყვარს, მარტო ის. მე დავლუბე. დამანებე თავი.

შემოდის ვოზნესენსკი.

### გამოსვლა მეოთხე

იგინიევი და ვოზნესენსკი.

კარენინი. სად არის ფიოდორ ვასილიევიჩი? თქვენ რა გითხრეს?  
ვოზნესენსკი. მითხრეს, დილით გავიდა, ეს წერილი დატოვა და  
მეტად აღარ მობრუნებულაო.

კარენინი. ეს უნდა გავიგოთ. ლიზა, უნდა დაგტოვო.

ლიზა. მაპატიე, მაგრამ მეც არ მეხერხება ტყუილი. ახლა დამტო-  
ვე. წადი, გაიგე ყველაფერი...

ფარდა

<sup>1</sup> ეს მე ვარ გარეშე (ფრანგ.).

პირველი სურათი

სამიკიტნოს ჭუჭყიანი ოთახი. მაგიდასთან ჩაის და არაყს სვამენ. წინა პლანზე, პატარა მაგიდას უსხედან დაგლახავებული, ჩამოკონკილი ფედიკა და გრძელთმიანი, სასულიერო შესახედაობის პეტუშკოვი — გულისხმიერი, გრძნობიერი კაცი. ორივე ოდნავ შემთვრალი ჩანს.

გამოსვლა პირველი

ფედიკა და პეტუშკოვი.

პეტუშკოვი. ჰო, მესმის, გავიგე. სწორედ ეს არის ჭეშმარიტი სიყვარული. მერე?

ფედიკა. იცით, ეს გრძნობები ჩვენი წრის ქალიშვილმა რომ გამოავლინოს, აი, ყველაფერი საყვარელ ადამიანს რომ შესწიროს... აქ კი ბოშა ქალია, ერთთავად ანგარებაზე აღზრდილი, თანაც ეს წმინდა, თავგანწირული სიყვარული — ყველაფერს გასცემს, სანაცვლოდ კი არაფერს ითხოვს. განსაკუთრებით ეს კონტრასტი.

პეტუშკოვი. ვიცი, ჩვენთან, ფერწერაში ვალიორი ჰქვია. მხოლოდ მაშინ გამოვიდა კაშკაშა-წითელი ფერი, როცა ირგვლივ... თუმცა, ეს რად გვინდა. მესმის, გავიგე...

ფედიკა. ალბათ, ეს ერთი კეთილი საქმე მაქვს ჩადენილი — მისი სიყვარულით რომ არ ვისარგებლე. თუ იცით, რატომ არა?

პეტუშკოვი. სიბრალული...

ფედიკა. ოჰ, არა. სიბრალული სულაც არ მქონია. მუდამ აღტაცებული ვიყავი მის წინაშე, მაშინაც. როცა მღეროდა — აჰ, როგორ მღეროდა და, ალბათ, ახლაც მღერის — და ისედაც, მუდამ ქვევიდან შევცქეროდი. იმიტომ არ დავლუპე, რომ მიყვარდა, არც მეტი და არც ნაკლები. ნამდვილად მიყვარდა. ახლა კი ეს კარგ, ტკბილ მოგონებად მაქვს გულში (სვამს).

პეტუშკოვი. მესმის, გავიგე. იდეალურია.

ფედიკა. აი, რა გითხრათ: მქონია გატაცებები. ერთხელ შეყვარებული გახლდით, მაგარი ქალი იყო — ლამაზი, საძაგლად შემოყვარდა, ძალიერით შევიციინებდი, ჰოდა, rendez-vous<sup>1</sup> დამინიშნა. მე კი არ მივედი, რაკი მივიჩინე, ქმრის წინაშე უნამუსობა გა-

<sup>1</sup> პაემანი (ფრანგ.).

მომდიოდა. და აქამდე, საოცარია, როცა ვიხსენებ, მინდა მიხაროდეს, თავი შევიქო, აი, პატიოსნად მოვიქეცი-მეთქი, მაგრამ... ვნანობ, თითქოს ცოდვა ჩამედინოს... აქ კი, მაშასთან — პირიქითაა. მუდამ მიხარია, რომ არაფრით არ შევებლალე ეს ჩემი გრძნობა... შეიძლება კიდევ უფრო გავთახსირდე, სულმთლად გავიყიდო თავი, ტილები დავიხვიო, ჭუჭყში ჩავვდე, ეს ბრილიანტი კი, რის ბრილიანტი — ეს მზის შუქი დიახ, — ჩემშია, ჩემთანაა.

პეტუშკოვი. მესმის, გავიგე. ახლა სადღაა?

ფედიკა. არ ვიცი. არც მინდა, ვიცოდე. ეს ყველაფერი სხვა ცხოვრების ამბებია, არ მინდა ჩემს ახლანდელ ცხოვრებაში ავირო.

მაგიდის მიღმა, უკან ისმის ქალის კივილი. მოდის სამიკიტნოს პატრონი და პოლიციელი — გაჰყავთ. ფედიკა და პეტუშკოვი უყურებენ, უსმენენ ყოველივეს და დუმან.

პეტუშკოვი (მას შემდეგ, რაც იქაურობა მიწყნარდა). ჰო, საოცარია თქვენი ცხოვრება.

ფედიკა. არა, ძალიან უბრალოა. ყველა ჩვენგანს ხომ ჩვენს წრეში, რომელშიაც დავიბადე, სამი არჩევანი აქვს — მხოლოდ სამი: სამსახური, ფულის მოხვეჭა, იმ ნაგვის გაზრდა, რაშიაც ვცხოვრობთ. მეზიზღებოდა ეს ყველაფერი, იქნებ არც შემეძლო, მაგრამ, რაც მთავარია, მეზიზღებოდა. მეორე — ამ სიბილწის დანგრევა; საამისოდ გმირი უნდა იყო კაცი, მე კი ვერა ვარ გმირი. ანდა მესამე: თავდავიწყება, სმა, ჭეიფი, სიმღერა. მე სწორედ ამას ვშვრებოდი. და აი, მორჩა კიდევ ჩემი სიმღერა. (სვამს).

პეტუშკოვი. ჰო, მაგრამ ოჯახური ცხოვრება? ბედნიერი ვიქნებოდი, ცოლი რომ მყავდეს. ცოლმა დამლუპა.

ფედიკა. ოჯახური ცხოვრებოთ? ეს კი. ჩემი მეუღლე იდეალური ქალი გახლდათ. ახლაც ცოცხალია. მაგრამ რალა გითხრა? მარილი გვაკლდა, აი, კერძს რომ მარილი აკლია ხოლმე. თამაში არ იყო ჩვენს ცხოვრებაში. მე კი თავდავიწყება მჭირდებოდა. თუკი არ თამაშობ, თავდავიწყება ძნელია. მერე კი სისაძაგლეების ჩადენა დავიწყე. ხომ იცი, ადამიანები იმ სიკეთის გამო გვიყვარს, რაც მათთვის გაგვიკეთებია, და არ გვიყვარს იმ ბოროტების გამო, რაც მათ შევამთხვიეთ. მე კი ბევრი ცუდი შევამთხვიე მეუღლეს. არადა, მგონი, ვუყვარდი.

პეტუშკოვი. რატომ ამბობთ: მგონიო?

ფედიკა. რატომ და, არასოდეს ჰქონია ისეთი რამ, აი, სულში რომ ჩავიძვრება ადამიანი, როგორც მაშამ იცოდა აოლმე. თუმცა, სხვას ვამბობ. ორსულად იყო, ან ბავშვს ძუძუს აჭმევდა, მე კი



დავიკარგებოდრი და გამტყვრალი ვბრუნდებოდრი. ალბათ, სწორედ ამის გამო სულ ნაკლებ და ნაკლებ მიყვარდა. დიახ, დიახ (აღფრთოვანდებდა), აი, ახლა მივხვდი: მაშა იმიტომ მიყვარდა, სიკეთეს რომ ვუქეთებდრი და არა ბოროტებას. ამიტომაც მიყვარს. იმას კი ვაწამებდრი, რაკილა... არ მიყვარს-მეთქი, სწორი არ იქნება... თუმცა არა, მართლა არ მიყვარს. ვეჭვიანობდრი — ეს მართალია, მაგრან უკვე ამანაც განვლო.

### გამოსვლა მორა

ი გ ი ნ ი ვ ე დ ა ა რ ტ ე მ ი ე ვ ი .

მაგიდასთან მოდის ა რ ტ ე მ ი ე ვ ი , კოკარდიანი ქული ახუ-რავს, შეღებილი უღვაში აქვს, ძველი, გადაკეთებული ტანი-სამოსი აცვია.

ა რ ტ ე მ ი ე ვ ი . გაამოთ. (ფედიას თავს უკრავს). გაიცანით ეს მხატ-ვარ-მსახიობი?

ფ ე დ ი ა (ცივად). დიახ, ვიცნობთ ერთმანეთს.

ა რ ტ ე მ ი ე ვ ი (პეტუშკოვს). რაო, პორტრეტი დაამთავრე?

პ ე ტ უ შ კ ო ვ ი . არა, გამიფუჭდა.

ა რ ტ ე მ ი ე ვ ი (ჯდება). ხელს ხომ არ გიშლით?

ფ ე დ ი ა და პ ე ტ უ შ კ ო ვ ი არაფერს პასუხობენ.

პ ე ტ უ შ კ ო ვ ი . ფეოდორ ვასილიევიჩი თავის ცხოვრებას მიყვე-ბოდა.

ა რ ტ ე მ ი ე ვ ი . საიდუმლოა? ხელს აღარ შეგიშლით, განაგრძეთ. სულაც არ მჭირდებთ. ღორები. (მოდის მეზობელ მაგიდასთან და ლუდს ითხოვს. ერთთავად აქეთ იხრება და პეტუშკოვთან ფედიას ლაპარაკს უსმენს).

ფ ე დ ი ა . არ მიყვარს ეს ბატონი.

პ ე ტ უ შ კ ო ვ ი . განაწყენდა.

ფ ე დ ი ა . კარგად იყოს. არ შემოდია. როცა ასეთი კაცი მისმენს, ენა მებმის ხოლმე. აი, თქვენთან ადვილად ვლაპარაკობ, მსიამოვ-ნებს. ჰოდა, რას ვამბობდრი?

პ ე ტ უ შ კ ო ვ ი . ამბობდრი, ვეჭვიანობდრი. მაგრამ როგორ გასცილ-დით თქვენს მეუღლეს?

ფ ე დ ი ა . აჰ. (ჩაფიქრდება). ეს საოცარი ისტორიაა. ჩემი ცოლი გა-თხოვილია.

პ ე ტ უ შ კ ო ვ ი . როგორ? განქორწინება?

ფ ე დ ი ა . არა გვაქვს. (იღიმება). ჩემი ქვრივია.

პ ე ტ უ შ კ ო ვ ი . ეს როგორლა?

ფ ე დ ი ა . როგორ და ისე: ქვრივია. მე ხომ აღარა ვარ.

პ ე ტ უ შ კ ო ვ ი . როგორ თუ აღარა ხართ?

ფ ე დ ი ა . აღარა ვარ. გვამი ვარ. დიახ.

ა რ ტ ე მ ი ე ვ ი გადმოიხრება, უსმენს.

იცით... თქვენ შემოდია გითხრათ. დიდი ხნის ამბავია, ჩემი ნამ-დვილი გვარიც არ იცით. აი, ასე იყო. როცა სულ გავტანჯე ცო-ლი, გავფლანგე ყველაფერი, რაც კი შემეძლო, და აუტანელი გავხდი, ქალს მფარველი გამოუჩნდა. არ იფიქროთ, რამე ცუდი, ჭუჭყიანი იყო, — არა, ჩემივე მეგობარი გახლდათ და კარგი, კარგი ადამიანი, ოღონდ ყველაფერში ჩემი საპირისპირო. ხოლო რაკი ჩემში ბევრად უფრო მეტია ცუდი, ვიდრე კარგი, მაშასა-დამე, იგი კარგი, ძალიან კარგი ადამიანი იყო და არის: პატიო-სანი, მტკიცე, თავშეკავებული და, უბრალოდ, ქველმოქმედი. ბავშვობიდან იცნობდა ჩემს ცოლს, უყვარდა, მაგრამ როცა მე შევირთე, რას იზამდა, შეურიგდა ბედს. მერე და მერე, როცა გავ-თანხირდი და ქალს წამება დაეუწყე, უკვე ხშირად დადიოდა ჩვენს სახლში. მე თვითონ ასე მიხდოდა. ჰოდა, კიდევ შეუყვარდათ ერ-თმანეთი, თანაც ამასობაში სულ გავგიჟდი და მივატოვე ცოლი. აქეთ კიდევ მაშა. თავადვე შევთავაზე, დაქორწინდით-მეთქი. არ უნდოდათ. მაგრამ მე სულ უფრო და უფრო აუტანელი გავხდი და ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ...

პ ე ტ უ შ კ ო ვ ი . როგორც ყოველთვის.

ფ ე დ ი ა . არა. მჯერა და ვიცი, ორივე წმინდად დარჩა. კაცი რელი-გიის მიმდევარია, ჯვარდაუწერლად ქორწინებას ცოდვად თვლი-და, განქორწინება მოითხოვეს, ჩემი თანხმობა იყო საჭირო. დამ-ნაშავედ მე უნდა გამომეყვანა თავი. საჭირო იყო მთელი ეს სიც-რუე... მაგრამ არ შემეძლო. დამიჯერეთ, თავის მოკვლა მერჩიე-ნა ტყუილის თქმას, უფრო მეადვილებოდა. კიდევ ვაპირებდრი თავის მოკვლას. მაშინ კეთილმა ადამიანმა მითხრა: რატომარ? ჰოდა, ყველაფერი მოვაწყეთ. გავგზავნე გამოსათხოვარი წერი-ლი, მეორე დღეს კი ნაპირზე ნახეს ჩემი ტანსაცმელი, საფულე, წერილები. ცურვა მე არ ვიცი.

პ ე ტ უ შ კ ო ვ ი . მაგრამ სხეული როგორ, ვერ იპოვეს?

ფ ე დ ი ა . იპოვეს. წარმოიდგინეთ. ერთი კვირის შემდეგ ნახეს რაღაც გვამი. დაუძახეს ჩემს ცოლს, რათა ენახა. გახრწნილი სხეული. დახედა ჩემმა ცოლმა. — ის არის? — ის. — და ასევე დარჩა. მე დამასაფლავეს, ისინი კი დაქორწინდნენ და აქ ცხოვრობენ, ბედნიერად არიან. მე კი აი, სადა ვარ. კიდევ ვცოცხლობ და კიდევ ვსვამ. გუშინ მათი სახლის წინ გავიარე. ფანჯრებში შუ-ქი ენთო, ვიღაცის ჩრდილი გარიილდა ფარდაზე. ზოგჯერ ცუდად

ვხდები ხოლმე, ზოგჯერაც არაფერი. ცუდად მაშინ ვხდები, როცა ფული არ არის... (სვამს).

არტემიევი (ფედის მიეხლება). მომიტევეთ, მოვისმინე თქვენი ამბავი. ძალიან კარგი და, რაც მთავარია, სასარგებლო ამბავია. თქვენ ამბობთ — ცუდადა ვარ, როცა ფული არ არისო. ამაზე ცუდი მართლაც არაფერია. მაგრამ თქვენს დღეში მყოფ კაცს კი მუდამ უნდა ჰქონდეს ფული. თქვენ ხომ გვაში ხართ. კარგია. ფედია. ნება მიბოძეთ. მე თქვენთვის არაფერი მიაამბნია და არც თქვენი რჩევის მოსმენა მსურს.

არტემიევი. მე კი მსურს და გირჩევთ კიდევ. თქვენ გვაში ხართ, მაგრამ თუ გაცოცხლდით, რას იზამენ მაშინ ის შენი მეუღლე და ის ვაჟბატონი, ახლა რომ ბედნიერად არიან, — ორქორწინებულები? უარესი თუ არა, ამისთვის კარგ ადგილას არ მოუწევთ გამგზავრება. ჰოდა, უფულოდ რატომ უნდა იყოთ?

ფედია. გთხოვთ, თავი დამანებოთ.

არტემიევი. უბრალოდ, წერილი დაწერეთ. თუ გინდათ, მე დავწერ, მხოლოდ მისამართი მომეცით, და მადლობელი დამრჩებით.

ფედია. გამეცალეთ. გამეცალეთ-მეთქი. თქვენთვის არაფერი მიტევამს.

არტემიევი. არა, გითქვამთ. აგერ, მოწმე. ხელზე მოსამსახურემ გაიგონა, გვაში ვარო, რომ ამბობდით.

ხელზე მოსამსახურე. ჩვენ არაფერი ვიცით.

ფედია. არამზადა.

არტემიევი. მე ვარ არამზადა? ჰეი, პოლიციელო, აქტი შეადგინეთ.

ფედია დგება და მიდის. არტემიევი აკავებს. მოდის პოლიციელი.

ფარდა

## მეორე სურათი

მოქმედება ხდება სოფელში, სუროთი დაბურულ ტერასაზე.

### გამოსვლა პირველი

ანა დმიტრის ასული კარენინა, ფეხმძიმე ლიზა, ძიძა ბავშვითურთ.

ლიზა. ახლა უკვე სადგურიდან მოდის.

ბიჭი. ვინ მოდის?

ლიზა. მამა.

ბიჭი. მამა მოდის სადგურიდან?

ლიზა. C'est étonnant comme il l'aime, tout-à-fait comme son père.<sup>1</sup>

ანა დმიტრის ასული. Tant mieux. Se souvient-il de son père véritable?<sup>2</sup>

ლიზა (ამოოხვრით). არ ვეუბნები. ვფიქრობ, რატომ ავუბნით თავგზა-მეთქი. მერე კი მგონია, თქმა არის საჭირო. თქვენ რას ფიქრობთ, maman?<sup>3</sup>

ანა დმიტრის ასული. მე ვფიქრობ, ეს გრძნობის საქმეა, ლიზა, და თუკი გრძნობას დააყურადებ, გული გიკარანხებს, რა უნდა თქვა და როდის უნდა თქვა. როგორ ამშვიდებს ხოლმე კაცს სიკვდილი. გამოგტყდები, ერთი დრო იყო, ვერ ვიტანდი ფედისას, — მე ხომ ბავშვს ვიცნობდი მას, — მაგრამ ახლა ერთ საყვარელ ყმაწვილად მაგონდება, ვიქტორის მეგობრად და იმ მგზნებარე ადამიანად, ვინაც თუმც უკანონოდ, არარელიგიურად, მაგრამ მაინც თავი შესწირა საყვარელ მეგობრებს On aura beau dire, l'action est belle...<sup>4</sup> იმედი მაქვს, ვიქტორს არ დაავიწყდებოდა მატყლის წამოღება, საცაა სულ გამითავდება. (ქსოვს).

ლიზა. აი, კიდევ მოვიდა.

ისმის თვლების ჭრიალი და ზანზალაკის წკარუნი. ლიზა დგება და ტერასის კიდეზე გადის.

ვილაც ქალბატონი ახლავს. მაშა! ასი წელია, არ მინახავს. (კარისკენ მიდის).

### გამოსვლა მეორე

იგინიევი. შემოდინ კარენინი და მარია ვასილის ასული.

მარია ვასილის ასული<sup>5</sup> (მას შემდეგ, რაც მან, ლიზამ და ანა დმიტრის ასულმა ერთმანეთი გადაკოცნეს). ვიქტორი შემავდა და წამომიყვანა.

ანა დმიტრის ასული. კარგადაც ჰქნა.

1 ეს სოცარია, როგორ უყვარს, სწორედ საკუთარ მამასავით (ფრანგ.).

2 მით უკეთესი. ნეტა თუ ახსოვს თავისი ნამდვილი მამა? (ფრანგ.).

3 დედა (ფრანგ.).

4 რაც გინდა თქვი, მშვენიერი საქციელია... (ფრანგ.).

5 ხელნაწერში: მაშა.

მარია ვასილის ასული. რასაკვირველია. ვიფიქრე, კიდევ როდის მოვიწახულებ, კვლავ არ გადავდო-მეთქი, და აი, ჩამოვე-  
დი; თუკი არ გამაგლებთ, — საღამოს მატარებლამდე.

კარენინი (ჰკოცნის ცოლს, დედას და ბიჭს). მე კი ბედნიერი ვარ, მომილოცეთ. ორი დღე შინ ექნები. ხეალ უჩემოდ იზამენ ყვე-  
ლაფერს.

ლიზა. ჩინებულა. ორი დღე. რა ხანია არ გვლირსებია. სავანეში წავიდეთ. კარგი?

მარია ვასილის ასული. როგორა ჰგავს! რა ყოჩაღია! ოღონდ ყველაფერი არ მიიღოს მემკვიდრეობით: მამის გული.

ანა დმიტრის ასული. ოღონდ სისუსტე არა.

ლიზა. ყველაფერი, ყველაფერი. ვიქტორიც მეთანხმება; ისაა, რომ ბავშვობიდანვე უნდა მისცემოდა სწორი გეზი.

მარია ვასილის ასული. მე ასეთი რამეები არ მესმის. ისე ვერ მოვიგონებ ხოლმე, ცრემლი არ მომადგეს თვალებზე.

ლიზა. ჩვენც ასე ვართ. როგორ გაიზარდა ჩვენს ხსოვნაში.

მარია ვასილის ასული. ჰო, მე ასე მგონია.

ლიზა. ერთ დროს როგორ გვეგონა, აღარაფერი გვეშეელებოდა. არადა, უცებ მოგვარდა ყველაფერი.

ანა დმიტრის ასული. აბა, ვიქტორ, მატყლი მომიტანე?

კარენინი. მოგიტანე, მოგიტანე. (ტომრიდან საჩუქრებს იღებს).

აი, მატყლი, ეს ოდეკოლონი, ესეც წერილები, ეს სახაზინო კონვერტი კი შენს სახელზეა (აწვდის კონვერტს ცოლს). აბა, მარია ვასილიენა, დაბანა თუ გნებავთ, მიგაცილებთ. თვითონაც უნდა გავსუფთავდე, თორემ მალე სადილობაა. ლიზა! მარია ვასილიენას ოთახი ხომ ქვემო, კუთხისა იქნება?

გაფითრებულ ლიზას მოცახცახე ხელებში ქალაღი უჭირავს და კითხულობს.

რა მოგივიდა? ლიზა! ასეთი რა წერია?

ლიზა. ცოცხალია. ღმერთო ჩემო! როდისღა დამანებებს თავს! ვიქტორ! რა არის ეს? (ქვითინებს).

კარენინი (ქალაღს ართმევს და კითხულობს). ეს საშინელებაა.

ანა დმიტრის ასული. რა არის, თქვი, გვლირსე.

კარენინი. საშინელებაა. იგი ცოცხალია. ლიზა ორქმრიანია და მეც დამნაშავე გავხდი. სასამართლოს გამომძიებლის წერილია, ლიზას იბარებს.

ანა დმიტრის ასული. რა საშინელი კაცია... რატომ გააკეთა ეს?

კარენინი. ყველაფერი ტყუილია, ტყუილია.

ლიზა. ო, როგორ მძულს. არ ვიცი, რას ვლაპარაკობ. (გადის აცრემლებული. კარენინიც მიჰყვება).

## გამოსვლა მისამ

ანა დმიტრის ასული და მარია ვასილის ასული.

მარია ვასილის ასული. ცოცხალი როგორღა დარჩა? ანა დმიტრის ასული. მხოლოდ ის ვიცი, მიეკარებოდა თუ არა ვიქტორი ჭუჭყის ამ ბუდეს, მაშინვე შიგ ჩაფლავდნენ. ჰო-და, ჩაფლეს კიდევ. სულ მოტყუება, სულ სიცრუე.

ფარდა

## მეექვსე მოქმედება

პირველი სურათი

სასამართლოს გამომძიებლის საკანი.

გამოსვლა პირველი

სასამართლოს გამომძიებელი, მელნიკოვი და საქმის მწარმოებელი.

სასამართლოს გამომძიებელი (მაგიდას უზის და მელნიკოვს ელაპარაკება. გვერდით საქმის მწარმოებელი ზის, ქალაღებს ფურცლავს). არასოდეს მითქვამს მაგ ქალისთვის ეს, თვითონ მოიგონა, მერე კი აქეთ მსაყვედურობს.

მელნიკოვი. საყვედური არა, მაგრამ გაცხარებული კია.

სასამართლოს გამომძიებელი. კარგი, სადილზე მოვალ. ახლა კი ძალზე საინტერესო საქმეა. (საქმის მწარმოებელს). სთხოვეთ.

საქმის მწარმოებელი. ორივეს?

სასამართლოს გამომძიებელი (თამბაქოს წვევას ამთავრებს და მალავს პაპიროსს). არა, მხოლოდ ქალბატონ კარენინას, ანდა, უფრო სწორი იქნება, პირველი ქმრის მიხედვით — პროტასოვას.

მელნიკოვი (გასვლის წინ). აჰა, ეს კარენინაა.

სასამართლოს გამომძიებელი. ჰო, ჭუჭყიანი საქმეა. დავეშვათ, ახლა ვიწყებ ძიებას, მაგრამ ვერ არის კარგი საქმე. აბა, ნახვამდის.

მელნიკოვი გადის.

სასამართლოს გამომძიებელი, საქმის მწარ-  
მოებელი და ლიზა — შემოდის, პირბაღე უკეთია,  
შავი ტანსაცმელი აცვია.

სასამართლოს გამომძიებელი. უმორჩილესად გთხოვთ.  
(სკამს უჩვენებს). მერწმუნეთ, ერთობ ვწუხვარ, რომ აუცილებე-  
ლია ზოგი რამ გკითხოთ, მაგრამ მეტი გზა არა გვაქვს... გთხოვთ  
დამშვიდდეთ, თანაც იცოდეთ, რომ შეგიძლიათ არ უპასუხოთ  
კითხვებს. ოღონდ, ჩემი აზრით, თქვენთვისაც და ყველასთვისაც  
უმჯობესი იქნება — სიმართლე. ეს ყოველთვის უმჯობესია და,  
თანაც, უფრო პრაქტიკულიც.

ლიზა. დასამალი არაფერი მაქვს.

სასამართლოს გამომძიებელი. მაშ, ასე. (ქალაღებს ჩა-  
ჰყურებს). თქვენი სახელი, წოდება, სარწმუნოება — ეს ყველა-  
ფერი ჩაწერილი მაქვს — ასეა?

ლიზა. დიახ.

სასამართლოს გამომძიებელი. თქვენ იმაში გედებათ ბრა-  
ლი, რომ, თუმცა იცოდით — ქმარი ცოცხალი გყავდათ, სხვას  
მისთხოვდით.

ლიზა. არ ვიცოდი.

სასამართლოს გამომძიებელი. და კიდევ იმაში, რომ ფუ-  
ლით მოისყიდეთ ქმარი, დააჯერეთ, რომ თვითმკვლელობა გაე-  
თამაშებინა, რათა მისგან განთავისუფლებულიყავით.

ლიზა. ტყუილია ეს ყველაფერი.

სასამართლოს გამომძიებელი. ასე რომ, ნება მიბოძეთ  
რამდენიმე კითხვა მოგკეთ. გადაუგზავნეთ თუ არა მას შარშან,  
ივლისში ფული, ათას ორასი მანეთი?

ლიზა. ეს მისი ფული იყო, მისი ნივთების საფასური. როცა გავ-  
ცილდი და მის პასუხს ველოდებოდი, მაშინ გავუგზავნე ეს  
ფული.

სასამართლოს გამომძიებელი. ა-ასე. ძალიან კარგი.  
ფული გაგზავნილია ჩვიდმეტ ივლისს, ესე იგი სანამ დაიკარგე-  
ბოდა, ორი დღით ადრე.

ლიზა. მგონი, ჩვიდმეტი ივლისი იყო. არ მახსოვს.

სასამართლოს გამომძიებელი. რატომ შეწყდა უშამდგომ-  
ლობა კონსისტორიაში სწორედ იმ დროს და აღვოკატსაც უარი  
ეთქვა?

ლიზა. არ ვიცი.

სასამართლოს გამომძიებელი. მაშ, როცა პოლიციამ გვა-  
მის ამოსაცნობად მიგიწვიათ, როგორ იცანით მასში თქვენი მე-  
ულლე?

ლიზა. მაშინ ისე ვიყავი აღელვებული, სხეულისთვის არც დამიხე-  
დავს. ისე მჯეროდა, რომ ის იყო, როცა მკითხეს, ვუპასუხე,  
ეტყობა ის არის-მეთქი.

სასამართლოს გამომძიებელი. დიახ, ერთობ გასაგები  
აღელვების გამო, კარგად არ შეხედეთ. კარგი, ბატონო. ახლა,  
ნება მიბოძეთ ვაგივო, რატომ გზავნიდით ყოველთვისად  
ფულს სარატოვში, სწორედ იმ ქალაქში, სადაც თქვენი პირვე-  
ლი ქმარი ცხოვრობდა?

ლიზა. ამ ფულს ჩემი ქმარი გზავნიდა. მე ვერაფერს გეტყვით მის  
დანიშნულებაზე, რადგან ეს ჩემი საიდუმლო არ არის. იმას კი  
გეტყვით, რომ ეს ფული ფიოდორ ვასილიევიჩს არ ეგზავნებო-  
და. ჩვენ მტკიცედ გვჯეროდა, რომ აღარ იყო ცოცხალი. ეს შე-  
მიძლია დანამდვილებით გითხრათ.

სასამართლოს გამომძიებელი. ძალიან კარგი. ნება მიბო-  
ძეთ ერთი რამ შეგნიშნოთ, მოწყალეო ქალბატონო. ჩვენ კანო-  
ნის მსახურნი ვართ, მაგრამ ეს ხელს არ გვიშლის ვიყოთ ადა-  
მიანები. და მერწმუნეთ, რომ სავსებით მესმის თქვენი მდგომა-  
რობა, თანაგივრძობთ კიდევ. თქვენ დაკავშირებული იყავით  
ადამიანთან, რომელიც ქონებას ფლანგავდა, ბევრ ცუდ რამეს  
სჩადიოდა, ერთი სიტყვით, არა ერთი უბედურება შეგამთხვიათ.

ლიზა. მე მიყვარდა იგი.

სასამართლოს გამომძიებელი. დიახ, მაგრამ თქვენთვის  
ბუნებრივი იყო განთავისუფლების სურვილი, ჰოდა, შედარე-  
ბით იოლი გზა აირჩიეთ. ის კი არც გიფიქრიათ, რაც ორქორწი-  
ნების დანაშაულად ითვლება — ეს ჩემთვისაც ცხადია. ნაფიცი  
მსაჯულებიც გაიგებენ ამას. ამიტომაც გირჩევდით, ყველაფერი  
გელიარებინათ.

ლიზა. არაფერი მაქვს საღიარებელი. ტყუილი არასოდეს მითქვამს.  
(ტირის). მეტად არა ვარ საჭირო?

სასამართლოს გამომძიებელი. მე გთხოვდით, ჯერ დარ-  
ჩენილიყავით აქ. მეტად არა, არ შეგაწუხებთ შეკითხვებით.  
მხოლოდ კეთილ ინებეთ, წაიკითხეთ და ხელი მოაწერეთ აი, ამ  
დაკითხვას. სწორად წერია თქვენი პასუხები? უმორჩილესად  
გთხოვთ, აქეთ. (უჩვენებს ფანჯარასთან მდგარ სავარძელს. საქ-  
მის მწარმოებელს). სთხოვთ ბატონ კარენისს.

გამოსვლა მისამი

ი გ ი ნ ი ვ ე . მკაცრი, საზეიმო იერით შემოდის კ ა რ ე ნ ი ნ ი .

ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო ს    გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ე ლ ი .    უმორჩილესად გთხოვთ. კ ა რ ე ნ ი ნ ი . გმადლობთ. (დგას). რა გნებავთ?

ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო ს    გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ე ლ ი .    ვალდებული ვარ დაგკითხოთ.

კ ა რ ე ნ ი ნ ი . ვინ უნდა დამკითხოს?

ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო ს    გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ე ლ ი    (ღიმილით). მე, როგორც სასამართლოს გამომძიებელმა. თქვენ კი უნდა დაგკითხოთ, როგორც ბრალდებული.

კ ა რ ე ნ ი ნ ი . მაშ, ასეა? რისთვის?

ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო ს    გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ე ლ ი .    ქმრიან ქალზე! დაქორწინებისათვის. თუმცა, ნება მიბოძეთ, წესისამებრ დაგკითხოთ. დაბრძანდით.

კ ა რ ე ნ ი ნ ი . გმადლობთ.

ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო ს    გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ე ლ ი .    თქვენი სახელი?

კ ა რ ე ნ ი ნ ი . ვიქტორ კარენინი.

ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო ს    გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ე ლ ი .    წოდება?

კ ა რ ე ნ ი ნ ი . კამერჰერი. ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი.

ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო ს    გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ე ლ ი .    ასაკი?

კ ა რ ე ნ ი ნ ი . ოცდათვრამეტი წლისა.

ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო ს    გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ე ლ ი .    რწმენა?

კ ა რ ე ნ ი ნ ი . მართლმადიდებელი. სამართალსა და გამომძიებაში არ ვყოფილვარ. კიდევ რა გნებავთ?

ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო ს    გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ე ლ ი .    ცნობილი იყო თუ არა თქვენთვის, რომ ფიოდორ ვასილის ძე პროტასოვი ცოცხალი იყო, როცა მის ცოლზე დაქორწინდით?

კ ა რ ე ნ ი ნ ი . არ იყო ცნობილი. ორივეს ვგჯეროდა, რომ იგი დაიხრჩო.

ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო ს    გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ე ლ ი .    ვის უგზავნიდით სარატოვში ყოველთვიურად ფულს პროტასოვის გარდაცვალების ყალბი ცნობის შემდგომ?

კ ა რ ე ნ ი ნ ი . არ მსურს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა.

ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო ს    გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ე ლ ი .    ძალიან კარგი. რა მიზნით გაუგზავნეთ ბატონ პროტასოვს ფული — ათას ორასი მანეთი ჩვიდმეტ ივლისს, სწორედ მისი სიკვდილის სიმულაციის წინ?

კ ა რ ე ნ ი ნ ი . ეს ფული ჩემმა ცოლმა გადმომცა.

ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო ს    გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ე ლ ი .    ქალბატონმა პროტასოვამ?

კ ა რ ე ნ ი ნ ი . ჩემმა ცოლმა გადმომცა ქმრისთვის გასაგზავნად. ამ ფულს მის საკუთრებად თვლიდა და, რაკი მასთან კავშირი გაწყვიტა, სამართლიანად არ მიაჩნდა ამ ფულის დატოვება.

ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო ს    გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ე ლ ი .    ახლა კიდევ ერთი შეკითხვა: რატომ შეწყვიტეთ შუამდგომლობა განქორწინების თაობაზე?

კ ა რ ე ნ ი ნ ი . იმიტომ, რომ ფიოდორ ვასილიევიჩმა თვითონ იკისრა შუამდგომლობა და მომწერა ამის შესახებ.

ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო ს    გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ე ლ ი .    გაქვთ ეს წერილი?

კ ა რ ე ნ ი ნ ი . წერილი დაკარგულია.

ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო ს    გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ე ლ ი .    რა უცნაურია, რომ დაკარგულია და არ არსებობს ყოველივე ის, რაც მართლმსაჯულებას თქვენი ჩვენების სიმართლეში დააჯერებდა.

კ ა რ ე ნ ი ნ ი . კიდევ რამე გჭირდებათ?

ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო ს    გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ე ლ ი .    მე არაფერი არ მჭირდება, გარდა ჩემი მოვალეობის აღსრულებისა, თქვენ კი თავის მართლება გჭირდებათ, სწორედ ეს ვურჩიე ახლახან ქალბატონ პროტასოვას და თქვენც იმასვე გირჩევდით: ნუ დაფარავთ, რაც ყველასათვის ცხადია, ყველაფერი ისე მოჰყევით, როგორც იყო. მით უმეტეს, რომ ბატონი პროტასოვი ისეთ მდგომარეობაშია, არაფერი დაუფარავს, ყველაფერი ისე თქვა, როგორც მოხდა და სასამართლოზეც ამასვე იტყვის. მე გირჩევდით...

კ ა რ ე ნ ი ნ ი . მე გთხოვთ, თქვენი მოვალეობის აღსრულების ჩარჩოებიდან ნუ გამოხვალთ. თქვენი რჩევა თქვენთვის შეინახეთ. შეგვიძლია წავიდეთ?

(მიდის ლიზასთან. ლიზა დგება და მკლავზე ხელს ჰკიდებს).

ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო ს    გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ე ლ ი .    ძალიან ვწუხვარ, რომ იძულებული ვარ დაგაკავოთ...

კარენინი გაოცებით შემობრუნდება.

ო, არა, იმ აზრით არ მითქვამს, რომ დაგაპატიმროთ. თუმცა კი ეს უკეთესი იქნებოდა ჰემარიტების დასადგენად, არ მივმართავ ამ ზომას. მხოლოდ მინდოდა თქვენს წინაშე პროტასოვი დამეკითხა და ერთმანეთისთვის დამეპირისპირებინეთ, რითაც უფრო ადვილად ვამხელდი მას ტყუილში. გთხოვთ ჩამოსხდეთ. დაუძახეთ ბატონ პროტასოვს.

გამოსვლა მეოთხე

ი გ ი ნ ი ვ ე . შემოდის ჭუჭყიანი, დაგლახაკებული ფედიია.

ფედიია (მიმართავს ლიზასა და კარენინს). ლიზა, ლიზავეტა ანდრეევნა, ვიქტორ. ჩემი ბრალი არ არის. მინდოდა უკეთ მექნა. თუ-

1 რედაქტორის ტექსტია, ხელნაწერში: ორქორწინებისათვის.

კი დამნაშავე ვარ... მპატიეთ, მაპატიეთ... (ორივეს მდაბლად უკრავს თავს).

სასამართლოს გამომძიებელი. გთხოვთ მიპასუხოთ შეკითხვებზე.

ფედია. მკითხეთ.

სასამართლოს გამომძიებელი. თქვენი სახელი?

ფედია. აკი იცი.

სასამართლოს გამომძიებელი. გთხოვთ მიპასუხოთ.

ფედია. ჰო, ფიოდორ პროტასოვი ვარ.

სასამართლოს გამომძიებელი. თქვენი წოდება, ხნოვანება, რწმენა?

ფედია (ღუმს). სინდისი რატომ არ გაწუხებთ, ამ სისულელეებს რომ მეკითხებით? წვრილმანებს თავი დაანებეთ, ის მკითხეთ, რაც საჭიროა.

სასამართლოს გამომძიებელი. გთხოვთ, ფრთხილად შეარჩიოთ გამოთქმები და უბასუხოთ ჩემს კითხვებს.

ფედია. კარგი, სინდისი თუკი არ გაწუხებთ, ინებეთ. წოდება — კანდიდატი, ხნოვანება — ორმოცი წლის, რწმენა — მართლმადიდებლური. აბა, კიდევ რა გნებავთ?

სასამართლოს გამომძიებელი. ცნობილი იყო თუ არა ბატონი კარენინისა და თქვენი ცოლისათვის, რომ ცოცხალი იყავით, როცა ტანისამოსი მდინარის პირას დატოვეთ და მიიძალეთ?

ფედია. ალბათ, არა. მე მხოლოდ თავის მოკვლა მინდოდა, მაგრამ შემდეგ... თუმცა, ამის მოყოლა რა საჭიროა. საქმე ისაა, რომ არაფერი იცოდნენ.

სასამართლოს გამომძიებელი. მაშ, პოლიციის მოხელეს სხვა ჩვენება რატომ მიეცით?

ფედია. ვინ პოლიციის მოხელეს? აჰა, როცა მან რუანოვის სახლში მომპაიოთხა? მთვრალი ვიყავი და არ ვიცი, რა მოვუროშე. სისულელეა ეს ყველაფერი. ახლა მთვრალი არა ვარ და სრულ სიმართლეს ვამბობ. არაფერი იცოდნენ. სჯეროდათ, რომ ცოცხალი არ ვიყავი. მეც ეს მინდოდა, მიხაროდა. და ასევე დარჩებოდა ყველაფერი, ის არამზადა არტემიევი რომ არა. თუკი ვინმეა დამნაშავე, მარტო მე ვარ.

სასამართლოს გამომძიებელი. მესმის, რომ გინდათ დიდსულოვანი იყოთ, მაგრამ კანონი ჭეშმარიტებას მოითხოვს. ფული რატომ გამოგიგზავნეს?

ფედია ღუმს.

ხომ იღებდით სიმონოვის სახელით ფულს, სარატოვში რომ გეგზავნებოდათ?

ფედია ღუმს.

რატომ არ მპასუხობთ? ოქმში ჩაიწერება, რომ ამ კითხვებს ბრალდებულმა არ უბასუხა, და ამან შეიძლება ძალიან გაგიფუჭოთ საქმე თქვენცა და ამათაც. აბა, რას იტყვი?

ფედია (ღუმლის შემდეგ). აჰ, ბატონო გამომძიებელო, რატომ არ გრცხვენიათ. აბა რა არის, სხვის ცხოვრებაში რომ ეჩრებით? გიხარიათ, რომ ძალაუფლება გაქვთ, ჰოდა, ეს რომ აჩვენოთ, ფიზიკურად კი არა, ზნეობრივად აწამებთ თქვენზე ათასჯერ უკეთეს ადამიანებს.

სასამართლოს გამომძიებელი. გთხოვთ...

ფედია. სათხოვარი რა არის. ყველაფერს ვიტყვი, რასაც ვფიქრობ. (საქმის მწარმოებელს). თქვენ კი ჩაიწერეთ. ყოველ შემთხვევაში, პირველად ჩაიწერება ოქმში გონივრული ადამიანური სიტყვა. (ხმას უწევს). ცხოვრობს სამი ადამიანი: მე, კაცი, ქალი. მათ შორის რთული ურთიერთობაა, კეთილისა და ბოროტის ბრძოლა, რომელზედაც თქვენ წარმოდგენაც კი არა გაქვთ. ეს ბრძოლა მთავრდება ცნობილი ვითარებით, რაც ყველაფერს ხსნის. ყველა დამშვიდებულია. კაცი და ქალი ბედნიერები არიან — ჩემი ხსოვნა ეძვირფასებათ. მეც ამ ჩემს დაცემაში იმით ვარ ბედნიერი, რომ გავაკეთე, რაც საჭირო იყო, უვარგისი კაცი ცხოვრებას ჩამოვშორდი, რათა ხელი არ შემეშალა იმათთვის, ვინც კარგიცაა და ვისაც ცხოვრების ხალისიც აქვს. ჰოდა, ვცხოვრობთ ყველანი. ამ დროს მოდის არამზადა, შანტაჟისტი, რომელიც ჩემგან შანტაჟში მონაწილეობას ითხოვს. მე ვაძევებ მას. იგი მოდის თქვენთან, მართლმსაჯულებისათვის მებრძოლთან, ზნეობრიობის მფარველთან. თქვენ კი, ოც რიცხვში ორ-ორ უზალთუნს რომ იღებთ ხოლმე სიბილწის საფასურად, იცვამთ მუნდირს და ზერეჟერეჟე ჰკუთით ყელყელაობთ მათზე, ადამიანებზე, რომელთა ფრჩხილადაც არ ღირხართ, რომლებიც თქვენისთანას წინკარში არ შემოადგმევიწინებენ ფეხს. მაგრამ მიაღწიეთ და გიხარიათ...

სასამართლოს გამომძიებელი. მე თქვენ გაგაძევებთ.

ფედია. არავისი მეშინია, რადგანაც გვაში ვარ და ვერაფერსაც ვერ დამიშავებთ; არ არსებობს მდგომარეობა, ჩემსაზე უარესი რომ იყოს. ჰოდა, გამაძევეთ.

კარენინი. ჩვენ შეგვიძლია წავიდეთ?

სასამართლოს გამომძიებელი. ახლავე, ოქმს ხელი მოაწერეთ.

ფედია. რა სასაცილო იქნებოდით, ასე ბილწი რომ არ იყოთ.

სასამართლოს გამომძიებელი. გაიყვანეთ ეს. მე გაპატიმრებთ თქვენ.

ფედია (კარენინსა და ლიზას). მპატივთ.  
კარენინი (მიუახლოვდება და ხელს ჩამოართმევს). ეტყობა, ასეც  
უნდა მომხდარიყო.

ლიზა ჩაივლის. ფედია მდაბლად უკრავს თავს.  
ფარდა

### მეორე სურათი

საოქო სასამართლოს შენობა, დერეფანი. უკანა პლანზე შემინული კარია, რომელთანაც შიკრიკი დგას. მარჯვნივ მეორე კარია, რომელშიაც ბრალდებულები შეჰყავთ. პირველ კარს მიადგება ჩამოკონკილი ივან პეტრეს ძე, შესვლა სურს.

### გამოსვლა პირველი

შიკრიკი და ივან პეტრეს ძე.

შიკრიკი. საით? არ შეიძლება. დახეთ, მიძვრება.  
ივან პეტრეს ძე. ვითომ რატომ არ შეიძლება? კანონი ამბობს: სხდომა საზოგადოა.

ისმის აპლოდისმენტები.

შიკრიკი. არ შეიძლება-მეთქი და მორჩა. ნება არ არის.  
ივან პეტრეს ძე. ბრიყვო. არ იცი, ვის ელაპარაკები.

გამოდის ახალგაზრდა ვეჟილი, ფრაკი აცვია.

### გამოსვლა მეორე

იგინივე და ახალგაზრდა ვეჟილი.

ახალგაზრდა ვეჟილი. რა გინდათ, საქმე გაქვთ?  
ივან პეტრეს ძე. არა, მე საზოგადოება გახლავართ. ეს ბრიყვიკი, ეს ცერბერი, არ მიშვებს.

ახალგაზრდა ვეჟილი. მაგრამ აქ ხომ საზოგადოების ადგილი არ არის?

ივან პეტრეს ძე. ვიცი. იქ არ მიშვებენ. ყველა ყველა, მაგრამ ჩემი შეშვება შეიძლება.

ახალგაზრდა ვეჟილი. დაიცადეთ, ახლა შესვენება იქნება.  
(წასვლა უნდა, თავად აბრეჯკოვს ჰვდება).

### გამოსვლა მესამე

იგინივე და თავადი აბრეჯკოვი.  
თავადი აბრეჯკოვი. გთხოვთ მითხრათ, საქმის განხილვა რასტადიაშია?  
ახალგაზრდა ვეჟილი. ვეჟილები გამოდიან. პეტრუშინი ლაპარაკობს.

კვლავ ისმის აპლოდისმენტები.

თავადი აბრეჯკოვი. რაო, ბრალდებულებს როგორ უჭირავთ თავი?

ახალგაზრდა ვეჟილი. დიდის ღირსებით, განსაკუთრებით კარენინსა და ლიზავეტა ანდრეევნას. მათ კი არ ასამართლებენ, ისინი ასამართლებენ საზოგადოებას. ეს იგრძნობა. პეტრუშინიც ამ თემაზე ლაპარაკობს.

თავადი აბრეჯკოვი. პროტასოვი როგორღაა?

ახალგაზრდა ვეჟილი. საშინლად აღელვებულია. რაღაც ცახცახებს ერთთავად. მაგრამ ეს გასაგებია — მისი ცხოვრების ბრალია. ოღონდ რაღაც განსაკუთრებით გაღიზიანებული ჩანს: რამდენჯერმე პროკურორსა და ვეჟილს სიტყვა გააწყვეტინა. რაღაც განსაკუთრებით აღვზნებული ჩანს.

თავადი აბრეჯკოვი. რა რეზულტატს ვარაუდობთ?

ახალგაზრდა ვეჟილი. ძნელი სათქმელია. ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობა ნარეგია. ყოველ შემთხვევაში, რაიმე წინასწარგანზრახულს არ სცნობენ, მაგრამ მაინც...

გამოდის ბატონი, თავადი აბრეჯკოვი კარისკენ მიემართება.  
შესვლა გნებავთ?

თავადი აბრეჯკოვი. კი მინდოდა.

ახალგაზრდა ვეჟილი. თქვენ თავადი აბრეჯკოვი ბრძანდებით?

თავადი აბრეჯკოვი. გახლავართ.

ახალგაზრდა ვეჟილი (შიკრიკს). შეუშვით. მარცხენა მხარეს სკამი გათავისუფლდა. (უშვებს თავად აბრეჯკოვს).

კარი იღება და მოლაპარაკე ვეჟილი ჩანს.

### გამოსვლა მეოთხე

შიკრიკი, ახალგაზრდა ვეჟილი და ივან პეტრეს ძე.

ივან პეტრეს ძე. არისტოკრატები! მე სულის არისტოკრატი ვარ. ეს კი მეტია.

ახალგაზრდა ვეჟილი. ბოდიშს გიხდით. (მიდის).

გამოსვლა მესუთი

შეიკრიკი, ივან პეტრეს ძე და პეტრე შკოვი  
— აჩქარებით მოდის.

პეტრე შკოვი. გამარჯობა, ივან პეტროვიჩ! როგორაა საქმე?  
ივან პეტრეს ძე. ჯერ ვეჭილები ლაპარაკობენ. ესაა, რომ არ  
მიშვებენ.

შეიკრიკი. თქვენ კი ნუ ხმაურობთ აქ. დუქანი კი არ არის.

კვლავ ისმის აპლოდისმენტები, იღება კარი, გამოდიან ვეჭილე-  
ბი, მაყურებლები: კაცები და მანდილოსნები.

გამოსვლა მთავარი

იგინივე, მანდილოსანი და ოფიცერი.

მანდილოსანი. მშვენიერია. ლამის ცრემლი მომერია.  
ოფიცერი. ყოველგვარ რომანსა სჯობს. ოღონდ ვერ გამოვიდა, რო-  
გორ შეეძლო ასეთი კაცის შეყვარება. საშინელი ფიგურაა.

გამოსვლა მშვიდი

იგინივე. იღება მეორე კარი, გამოდიან ბრალდებულნი:  
ჯერ ლიზა და კარენინი და დერეფანში მიდიან, მერე  
ფედიკა, მარტო.

მანდილოსანი. ჩუმად. აი, ეს არის. შეხედეთ, როგორ ლეღავს.  
(მანდილოსანი და ოფიცერი ჩაივლიან).

ფედიკა (მოდის ივან პეტრეს ძესთან). მოიტანე?

ივან პეტრეს ძე. აქ არის. (რაღაც ნივთს აძლევს).

ფედიკა (ნივთს ჯიბეში მალავს და წასვლას აპირებს; დაინახავს პეტ-  
რე შკოვის). ტუტუცობაა, უხამსობაა. მოსაწყენი. მოსაწყენი. უაზ-  
რო. (წასვლას აპირებს).

გამოსვლა მერე

იგინივე და პეტრე შკინი — სქელი, ლაყლაყა ვეჭილი.  
გამოცოცხლებულია, ფედიკას მიეახლება.

პეტრე შკინი. აბა, ბატონო ჩემო, კარგადაა ჩვენი საქმე. ოღონდ  
საბოლოო სიტყვით არ გამოფუჭოთ.

ფედიკა. არც ვაპირებ ლაპარაკს. მაგათ რა უნდა ველაპარაკო? არ  
ვიზამ.

პეტრე შკინი. არა, უნდა ილაპარაკოთ, საჭიროა. თქვენ შიში ნუ  
გეჭნებათ, საქმე უკვე გაჩარხულია. მხოლოდ ის თქვით, რასაც  
მე მეუბნებოდით, თუ მასამართლებენ, მხოლოდ იმიტომ მასა-  
მართლებენ, თავი რომ არ მოვიკალი-თქო, ესე იგი იმიტომ, რომ  
არ ჩავიდინე ის, რაც დანაშაულად ითვლება-თქო კანონით,  
სამოქალაქო კანონი იქნება თუ საეკლესიო-თქო.

ფედიკა. არაფერსაც არ ვიტყვი.

პეტრე შკინი. რატომ?

ფედიკა. არ მინდა და არ ვიტყვი. თქვენ მხოლოდ ის მითხარით: უა-  
რეს შემთხვევაში რა შეიძლება მოხდეს?

პეტრე შკინი. უკვე გითხარით: უარეს შემთხვევაში ციმბირში გა-  
დასახლება.

ფედიკა. ესე იგი, ვისი გადასახლება?

პეტრე შკინი. თქვენიც და თქვენი ცოლისაც.

ფედიკა. უკეთეს შემთხვევაში რაღა?

პეტრე შკინი. საეკლესიო მონაწილეა და, რასაკვირველია, მეორე  
ქორწინების გაუქმება.

ფედიკა. ესე იგი, კვლავ მიგვაბამენ ერთმანეთზე, ესე იგი ქალს  
კვლავ ჩემი ქმრობით შებოჭავენ?

პეტრე შკინი. დიახ, ასეც უნდა იყოს. თქვენ ნუ ლეღავთ. და  
გთხოვთ ის თქვით, რასაც მე გეუბნებით, მხოლოდ და მხოლოდ.  
მთავარია, ზედმეტი არაფერი წამოგცდეთ. თუმცა... (ამჩნევს,  
რომ მათ ირგვლივ ხალხი მომდგარა, ლაპარაკს უსმენენ). დავი-  
ლაღე, წავალ, ცოტა ხნით ჩამოვჯდები, თქვენც დაისვენეთ, ვიდ-  
რე ნაფიცი მსაჯულები თათბირობენ. მთავარია, თამამად დაი-  
ჭირეთ თავი.

ფედიკა. სხვა გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს?

პეტრე შკინი (წასვლისას). სხვა არავითარი.

გამოსვლა მაცხრი

იგინივე, პეტრე შკინის გარდა, და სასამართლოს მოხელე.

სასამართლოს მოხელე. გაიარეთ, გაიარეთ, ტყუილად დე-  
რეფანში ნუ დადგებით.

ფედიკა. ახლავე. (პისტოლეტს იღებს და გულში ტყვიას იხლის.  
ეცემა. ყველა მას მივარდება). არაფერია, კარგია ყოფილა.  
ლიზას...



ყველა კარიდან შემორბიან მაყურებლები, მოსამართლეები, ბრალდებულები, მოწმეები. ყველაზე წინ ლიზა დგას. უკან მაშა და კარენინი, ივან პეტრეს ძე და თავადი აბრეზკოვი.

ლიზა. ეს რა ჩაიდინე, ფედია? რატომ?

ფედია. მაპატიე, რომ ვერ შევძელი... სხვანაირად ვერ გაგათავისუფლე... შენთვის კი არა... მე მერჩივნა ასე. მე ხომ უკვე რა ხანია... მზადა ვარ...

ლიზა. არ მოკვდები, იცოცხლებ.

ექიმი მისკენ იხრება. უსმენს.

ფედია. უექიმოდაც ვიცი... ვიქტორ, მშვიდობით. მაშა კი დაიგვიანა... (ტირის). რა კარგია... რა კარგია... (კვდება).

ფარდა.